***ლევან ლემონჯავა.***

# მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირში

ქალაქ ხობს ქვეყნის აღმშენებლობით საქმიანობაში თავისი მამულიშვილური სიტყვა ყოველთვის უთქვამს და მომავალშიც თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ერის გამთლიანებასა და ეკონომიკურ გაძლიერებაში.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგებლის ბატონ გოგა ღურწკაიას ხელმძღვანელობით ცდილობს პირნათლად განახორციელოს მთავრობის მიერ შემუშავებული პროგარმები, რაც ხელს შეუწყობს ცხოვრებისა და კეთილდღეობის ამაღლებას ჩვენს მუნიციპლიტეტში. ბევრი რამ გაკეთდა ქალაქის კეთილდღეობისა და ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, გაუმჯობესდა ხალხის საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობები. მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოს და საქართველოს პარლამენტში ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონ გოდერძი ბუკიას მხარდაჭერით მთელი რიგი სამუშაოები ჩატარდა ქალაქ ხობში.

ვაკეთოთ მეტი, ამისათვის თითოეული ჩვენთაგანის ვალი ურთიერთთანადგომა, ერთმანეთისადმი ერთგულება და მინდობილი საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობაა.

ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობა ქვეყნის გარანტიაა, სოციალური პრობლემებისა თუ ინფრასტრუქტურის განვითარება ბევრადაა დამოკიდებული ამ ერთიანობაზე.

ხობის მუნიციპალიტეტი „ვარდების რევოლუციის“ დღიდან აქტიურად მონაწილეობს ხელისუფლების მიზანდასახული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების განხორციელებაში. შეუქცევადი გახდა ეკონომიკური რეფორმები, აღმშენებლობა, წესრიგისა და სამართლიანობის დამკვიდრება, რაც თავისთავად ცხადია, გამოიწვევს მოსახლეობის დონის თანდათან გაუმჯობესებას.

„ჩვენ უმოკლეს დროში მოვახერხეთ ღირსების აღდგენა, ვამაყობთ, რომ ჩვენ საქართველოს შვილები ვართ“–პრეზიდენტის გულიდან ამოღებული ეს სიტყვები საუკეთესო განწყობილებას გვიქმნის იმის თაობაზე, რომ საქართველო უახლოეს პერიოდში გამთლიანდება და გაბრწყინდება.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას ქ. ხობში ჰყავს რწმუნებული, რომლის აპარატი შედგება შვიდი წევრისაგან. აპარატის თითოეულ წევრზე განაწილებულია ფუნქციები. ისინი აქტიურად არიან ჩაბმული ქალაქის ცხოვრებაში. დიდია ჩვენი პასუხისმგებლობა. ვცდილობთ, გულთან ახლოს მივიტანოთ თითოეული ხობელის ჭირი და ლხინი, მათი მოთხოვნები. ამიტომაც აპარატის სპეციალისტები, მიმაგრებულნი არიან თავიანთ სამოქმედო უბნებზე, ინიშნავენ მათ პრობლემებს, მოსახლეობიდან და დროულად აწვდიან გამგეობას, რათა უმოკლეს პერიოდში მოხდეს იქ არსებული პრობლემების მოგვარება. მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ორგანოს, მარჟორიტარი დეპუტატის კახაბერ ნადარაიას მეშვეობით დროულად მიეწოდება საჭირო ინფორმაცია ქალაქში არსებული პრობლემების შესახებ, რაც შემდეგ რეალურად აისახება ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში. ჩვენ ერთად დგომა მიგვიყვანს იმ პარნასზე, რასაც მუნიციპალიტეტის წინსვლა, სასურველი შედეგის მიღწევა ჰქვია. ჩვენი სამსახურის უპირველესი მიზანია მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირი, მათი პრობლემის გულთან ახლოს მიტანა, რათა კმაყოფილი დარჩეს ერიც და ბერიც. თუ როგორ ვახერხებთ ამის გაკეთებას, ამის შეფასება მოსახლეობისთვის მიგვინდია.

ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური აღმასვლის პრიორიტეტული საკითხებიდან გამომდინარე, მთავარი ყურადღება ექცევა ქალაქში მოსახლეობის წყლით მომარაგებას, შიდა გზების კეთილმოწყობას, კომუნალური სამსახურის სრულფასოვან მუშაობას. ჩვენს მიერ დამუშავებულიქნა და გამგეობას წარედგინა ქალაქის ინფრასტუქტურის განვითარების მოკლე და გრძელვადიანი (2011–2017 წ.) პროექტების განხორციელებისათვის გასათვალისწინებელი სამუშაოების სამოქმედო გეგმა.

ქალაქის მოსახლეობა შედგება 2016 კომლისაგან, 5988 მოსახლით, იძულებით გადაადგილებული პირი არის 246 კომლი–1300-მდე სულით.

ქალაქში კონცენტრირებულია მუნიციპალიტეტში შემავალი სამსახურების უმრავლესობა, რაც ჩვენი სამსახურის საქმიანობას უფრო საქმიანს და ეფექტურს ხდის. ჯერ კიდევ მძიმეა ქალაქის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მუნიციპალიტეტის გამგეობამ სოციალური პაკეტიდან შესაძლებლობის ფარგლებში ერთჯერადი დახმარება სარვამარტოდ, 100 ლარის ოდენობით გაუწია მრავალშვილიან დედებს, რომლებსაც ყავთ ოთხი ან ოთხზე მეტი შვილი. ქალაქში ყოველ ახალშობილზე გაიცა ერთჯერადი დახმარება 100 ლარის ოდენობით, 100 ლარით დასაჩუქრდა მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები. ქალაქში ფუნქციონირებს უმწეოთა სასადილო, რაც უდაოდ კეთილი ჟესტია ხელისუფლებისგან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხერხდება სოციალურ სააგენტოში დაფიქსირებული ბენეფიციარების დახმარება, რომლებიც ფულად დახმარებას ღებულობენ, წყლის გადასახადისთვის. გარდა ამისა, ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია უკიდურესად შეჭირვებულ მოქალაქეებს.

მიმდინარე წლის მარტის თვეში, საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, ქალაქ ხობის მოსახლეობას და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ჩვენი სპეციალისტების მიერ თითოეულ ოჯახში მისვლით დროულად იქნა დარიგებული ელექტროენერგიისა და სურსათის ვაუჩერები. ივნისის თვეში გარკვეულ ნაწილს დაურიგდა ინსექტიციდი „დეცისი“ საკარანტინო მავნებლის „ამერიკული თეთრი პეპელას“ საწინააღმდეგო შხამქიმიკატი.

ჩვენს მიერ აღწერილიქნა ქალაქის მოსახლეობა, საკომლო წიგნებში შევიდა მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემები. ქალაქი დაყოფილია უბნებად, სადაც მიმაგრებული გვყავს სპეციალისტები, რომლებიც პერიოდულად გვაწვდიან ინფორმაციას იქ არსებულ პრობლემებზე. ამით ვცდილობთ, გულთან ახლოს მივიტანოთ მათი ჭირ–ვარამი, რათა გამგეობას დროულად მივაწოდოთ ინფორმაცია, რომ შესაძლებლობების ფარგლებში შევძლოთ დახმარების გაწევა.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 2010-2011 წლებში მოსახლეობიდან შემოსული განცხადებებისა და ჩვენს მიერ გამგეობაში წარდგენილი მოთხოვნების საფუძველზე 2010-2011 წლებში ქალაქში ჩატარდა მთელი რიგი სამუშაოები: ნინოშვილისა და რუსთაველის ქუჩებზე დამთავრდა სანიაღვრე არხის მოწყობა, რაზედაც 68400 ლარი დაიხარჯა, რითაც მოიხსნა მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის პრობლემა.



ხობის №2 საჯარო სკოლის შემოკავებისათვის გახარჯულიქნა–55500 ლარი.

ც. დადიანის ქუჩაზე მდებარე №242 საცხოვრებელი სახლის ცენტრალური მაგისტრალიდან შენობამდე წყალსადენის რეაბილიტაციაზე 2000 ლარი დაიხარჯა.

9 აპრილის მემორიალში წყალსადენის რეაბილიტაციისათვის 0,5 ათასი ლარი დაიხარჯა.

ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მოხდა სანიაღვრე საკანალიზაციო არხის გაწმენდა, 0,7 ათასი ლარის ხარჯვით.

ხობის წმინდა სამების სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის სამუშაოები შეასრულა შარა-გზამშენმა (დირექტორი გულადი ბერაია), რისთვისაც 23900 ლარი გაიხარჯა.

ყოფილი რაიკომის შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა–(9400 ლარი). ც. დადიანის №195 და №242-ში მდებარე ხუთსართულიან ბინებში ჩატარდა საკანალიოზაციო და წყალმომარაგების სარემონტო სამუშაოები.

ქალაქის ცენტრში ავტომანქანების რეგულირების ღონისძიებისათვის 5900 ლარი იქნა გამოყოფილი.

სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას მოხმარდა 40100 ლარი.

ქ. ხობში ახალი სასაფლაოს კეთილმოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოებისათვის გამოყოფილიქნა 50000 ლარი, რომელიც დასრულებულია.

ქალაქის ქუჩების მოვლა-პატრონობისათვის გაიხარჯა 26 100 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ქუჩების გარე განათებებისავის გაიხარჯა 9800 ლარი, მომავალშიც გამოიყოფა თანხები გარეგანათებებისათვის, რაც უდაოდ მისასალმებელია.

თაყაიშვილის, სპორტის, კოსტავას ქუჩებზე დაიგო ასფალტის საფარი და გაყვანილიქნა სანიაღვრე არხები, ხოლო მ.გ.ფ. დაფინანსებით მთლიანად მოხდა ჭყონდიდელის ქუჩის მოასფალტება რკინიგზის სადგურამდე, აქვე ფეხით მოსიარულეთათვის ერთ მხარეს დაიგო ქვაფენილი, ხოლო მეორე მხარეს მოხდა მოასფალტება.

ც. დადიანის ქუჩის №244-ში მდებარე ხუთსართულიანი სახლის წინ მოხდა საკანალიზაციო სეპტიკის ჰერმეტულად დახურვა და მილის ჩადება (6900 ლარი).

სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ხობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღს, ყოფილი სკოლა-ინტერნატის სამშენებლო კომპანია „აქსისის“ მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შედეგად იქ ჩასახლებულიქნა იძულებით გადაადგილებული 56 ოჯახი, სულ 185 სული, გაუმჯობესდა მათი როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე სოციალური პირობები.

ქ. ხობში დასრულდა ელექტროენერგიის ინდივიდუალური გამრიცხველიანება. ამით აბონენტებსა და ენერგოკომპანიას შორის თანხის გადახდასთან დაკავშირებით გაუგებრობა მოისპო.

უდიდესი მონაპოვარია ქალაქში გაზიფიცირების სამუშაოების დაწყება, იმედია, ქალაქის მოსახლეობა უმოკლეს დროში ბუნებრივი აირით მომარაგდება.

ჩვენი უპირველესი მიზანია ქ. ხობი ვაქციოთ სისუფთავის ქალაქად. შ.პ.ს. „დასუფთავება და განათების“ სამსახურის მიერ შეძენილიქნა ბუნკერები, სპეცმანქანა და მოტოროლები, რომლის საშუალებითაც ხდება ქალაქიდან ნაგვის გატანა და იყრება სპეციალურად გაკეთებულ ნაგავსაყრელ პოლიგონზე. საკრებულოს დადგენილების საფუძველზე, შინაური ცხოველების შენახვის წესების შეაბამისად, ქალაქის ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი პირუტყვი ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაჭერას და იზოლაციას. შ.პ.ს. „დასუფთავება და განათების“ თანამშრომლის მიერ, მისი მესაკუთრე ვალდებულია, დადგენილი წესით, გადაიხადოს პირუტყვის შენახვის ხარჯები და შესაბამისი ჯარიმის თანხა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალაქში არსებული სკვერებისა და დასასვენებელი პარკის მოვლა-პატრონობას და მათ დასუფთავებას. მოსახლეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს წყალმომარაგების ხობის სერვისცენტრის ნორმალურ ფუნქციონირებას. არსებული მილები, რომელიც 1956 წელს არის ჩადებული, უკვე მოძველებულია და მოსახლეობის წყლით ნორმალური მიწოდებისათვის საჭიროა სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. ქალაქში უკვე დაწყებულია წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. წელს ადგილობრივი მნიშვნელობის გზის მოვლა-შენახვის სამუშაოები შეასრულა შ.პ.ს „შარაგზამშენმა კოსტავას, ც. დადიანის ქუჩის მონაკვეთის, ფეხბურთის სტადიონის მისასვლელის, დიდების მემორიალთან მისავლელი გზის სამუშაოებისათვის. სულ გახარჯულიქნა 148878173 ლარი. აღმაშენებლის ქუჩიდან კოლხეთის დასახლებამდე მოხდა სანიაღვრე არხის ამოწმენდა, რაც 4683,10 ლარი დაჯდა.

გაკეთდა ქ. ხობში სასტუმრო „კოლხეთის“ წინ მდებარე ამორტიზებული ღობის დემონტაჟი და ცოტნე დადიანის სკვერის სამღებრო სამუშაოები (2732 ლარი). მ. იოსავას სახელობის ქუჩაზე მოეწყო გარეგანათება–(2419,99 ლარი). კულტურის სახლის წინ მდებარე სკვერის დეკორატიული ღობისა და ქვაფენილის რემონტის სამუშაოებზე–2118 ლარი დაიხარჯა. სახანძროს უკან არხი მოეწყო და მილხიდი ჩაიდო (11327,41 ლარი); სტალინის ქუჩაზე –ირინა ბერაიას საცხოვრებელი სახლის უკან არხი ამოიწმინდა, დაიხარჯა 183,900 ლარი; კოსტავას და წერეთლის ქუჩებზე ჩატარდა გარეკანალიზაციის სარეაბილიტაციო სამუშაოები (1544,90 ლარი); ვაჟა-ფშაველას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის დაიხარჯა 3170,00 ლარი

2012 წელს მუნიციპალიტეტის გამგებლის აქტიური ჩართვითა და საკრებულოს მხარდაჭერით ჩატარდა და წლის ბოლომდე ჩატარდება მთელი რიგი სამუშაოები.

ქ. ხობში გურამიშვილის ქუჩაზე მოეწყო სანიაღვრე არხი, რისთვისაც 22400 ლარი დაიხარჯა.

ადმინისტრაციული შენობის (ყოფილი რაპოს) ოთახების სარემონტო სამუშაოებს მოხმარდა 25000 ლარი.

ჭყონდიდელის №6 მოხდა მრავალსართულიანი სახელების სახურავების რეაბილიტაცია. ჭყონდიდელის ქუჩის მიმდებარე არხის ამოწმენდისათვის ერთი მილხიდის მოწყობისა და ერთი მილხიდის რეაბილიტაციის სამუშაოებზე გაიხარჯა 1970 ლარი.

კოსტავას ქუჩაზე ჩატარადა სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები, რაც დაჯდა 24500 ლარი.

დავით აღმაშენებლის ქუჩაზე წერეთლის ქუჩიდან აღმაშენებლის I ჩიხამდე მოწესრიგდა სანიაღვრე არხი, რისთვისაც 37200 ლარი იქნა გახარჯული.

2012 წელს გათვალისწინებულია სამუშაოები ქალაქის შემდეგ ქუჩებზე: სტალინის ქუჩის რეაბილიტაციაზე 700-მეტრზე 200000 ლარი გაიხარჯება. ნაგავსაყრელთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია–2700 ლარი ჯდება. ც. დადიანის ქუჩაზე ტროტუარების მოწყობის სამუშაოები-260600 ლარი. უმწეოთა სასადილოს დარბაზის იატაკის რეაბილიტაცია–6000 ლარი. სამეგრელოს, მირცხულავას, გორგასალის. გურამიშვილის, შანიძისა და გამსახურდიას ქუჩებზე სანიაღვრე არხის მოწყობაში 45000 ლარი დაიხარჯა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია წყლის რეაბილიტაციის პროექტი ქ. ხობში, რისთვისაც გათვალისწინებულია 400000 ლარი, შენების პროცესშია საზოგადოებრივი საპირფარეშოს მშენებლობა–64500 ლარია გათვალისწინებული. ც. დადიანის ქ.№238 და №236 მრავალსართულიან ბინებს ჩაუტარდება სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები–(130000 ლარი).

კოლხეთის დასახლებაში, სამეგრელოს ქუჩაზე ჩატარდა მოხრეშვითი სამუშაოები–(11,000 ლარი). დაგეგმილია ხობის სათნოების სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია.

ფოთის ქუჩაზე სანიაღვრე არხის, ხოლო ცოტნე დადიანის ქუჩაზე ბორდიურის მოწყობის სამუშაოები, რისთვისაც გამოყოფილია–81000 ლარი.

ც. დადიანის ქუჩა №195 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის კეთილმოწყობისა და ხობში „თუთარჩელას“ მიმდებარე ტერიტორიის მოხრეშვითი სამუშაოები სათვის სულ დაიხარჯება–23000 ლარი.

ც.დადიანის ქუჩაზე და კოლხეთის დასახლების გარეგანათებისათვის გაიხარჯება 5000 ლარი.

ჩვენი ხელისუფლების მთავარი დევიზია–მეტი სარგებელი ხალხს. ნაბიჯ-ნაბიჯ წავიდეთ წინ უკეთესი ცხოვრებისა და კეთილდღეობისათვის!

ის, რაც გაკეთდა, ნამდვილად საამაყოა, მაგრამ გასაკეთებელიც რომ ბევრი გვაქვს, ეს ცხადია, ამისათვის თითოეული ჩვენთაგანის ვალია ვიშრომოთ და ვიღვაწოთ ყველამ ერთად უკეთესი მერმისისათვის, რათა მოსახლეობამ შეძლოს უკეთეს პირობებში ცხოვრება. ხალხს ჰქონდეს მეტი სარგებელი.

იმედია, ქალაქის, მოსახლეობა მოახლოებულ არჩევნებში მხარს დაუჭერს ხელისუფლებასა და მათ მიერ დაწყებული აღმშენებლობით სამუშაოების ბოლომდე მიყვანაში. ჩვენ ერთად დგომით გავიმარჯვებთ.

ძვირფასო ხობელებო თქვენთვის და თქვენს სამსახურში ვიქნებით.

***კარლო ჯობავა,***

***ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის რწმუნებული ქალაქ ხობში.***

## საქველმოქმედო საღამოზე

საღამოს, რომელიც ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში 30 ივლისს ჩატარდა, დიდი ხანი ველოდით... ყველაფერი, რაც იმ დღეს და საერთოდ, მზადების პერიოდს ეხებოდა, სიკეთის, ქველმოქმედების და სიყვარულის მსახურება იყო.

მოსაწვევი სახელწოდებით–საქველდმოქმედო საღამო „სიკეთის მარათონი," გვამცნობდა:

„ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის, მეუფე გრიგოლის ლოცვა-



კურთხევით ვმართავთ საქველმოქმედო კონცერტ „მარათონს", თავისი შინაარსითა და დანიშნულებით მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას... ხელისუფლების შეთანხმებული და მიზანმიმართული ქმედებები და გადაწყვეტილებები ქვეყნის ყველა მოქალაქის პირობების, ზოგადად, მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით თვალნათელია და შედეგიც ხელშესახები, მაგრამ საზოგადოებაც, განსაკუთრებით

## „უფალს მადლობა, რომ სიყვარულით გაგვაძლიერა"



ჩვენ–საჯარო მოხელენი მოვალენი ვართ გავიღოთ ის მცირედი, რომელიც შესაძლოა იმედის დასაბრუნებლად იმედდაკარგულს ძალიან სჭირდება.

...მიიღეთ მონაწილეობა სიკეთის მარათონში და შევეცადოთ ერთად განვფინოთ მადლი, რომლის წილად უფალი მოგვიზღავს".

ბარათს ხელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ამ ღონისძიების იდეის ავტორი და ორგანიზატორი ბატონი მამუკა ჭოხონელიძე აწერდა.

ვიდრე „სიკეთის მარათონი" შედგებოდა, ბატონმა მამუკამ თავად მოინახულა მარათონის გმირები, გაესაუბრა, იმედად და რწმენად მოევლინა. შემდგომ კონცერტზე ფირზე აღბეჭდილმა ამ შეხვედრებმა დარბაზს სევდად და იმედად გადაუარა. გაჩნდა რწმენა, რომ თუ ერთად დავდგებით, გულის სითბოს არ დავიშურებთ ერთმანეთის გასაძლიერებლად, ყველა ტკივილი უკან დაიხევს, სიყვარულით და სხვათა თანადგომის სურვილით ვიცხოვრებთ.

წლებია ხობის კულტურის სახლი დიდი ღონისძიებების მასპინძელია, მაგრამ ასეთი სავსე, და მე ვიტყოდი, გამორჩეული მაყურებელი იშვიათად ყოფილა. ალბათ, თავად კონცერტის დანიშნულებამ, მიზეზმა და მიზანმა განაპირობა ყოველივე.

კონცერტის წამყვანებად თანამდებობის პირები მოგვევლინნენ, ნიშნად იმისა, რომ არ არსებობს უფრო დიდი თანამდებობა, ვიდრე სხვათა მსახურება, მოყვასის სიყვარული და თანადგომაა. თითოეულ მათგანს ეტყობოდა, რომ დიდი და გამორჩეული პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ამ საქმეს. წამყვანები გახლდათ ჯულიეტა ქვარაია და ბეჟან ნადარაია, მარინა ჯღარკავა და რამაზ ლოლუა, მარი კვიკვინია და დათო გვასალია.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის მეუფე გრიგოლისა და მისი თანმხლები პირების მოლოდინში დარბაზი გარინდული იყო...

ალბათ ყველას, ვინც ამ საღამოზე მოვიდა, წინასწარვე ჰპირდებოდა ეს საღამო უჩვეულოსა და ამაღლებულს.

მისალმების შემდეგ აჟღერდა საგალობელი „ჩემო პატრიარქო".

„სიკეთის მარათონი", რომელიც უპირველესად მიზნად ისახავდა თანადგომას, ზრუნვას, მოფერებას–გახსნილად ცხადდება.

კონცერტში მონაწილეობდნენ ხეთის სამუსიკო სკოლასთან არსებული ბავშვთა ვოკალური ანსამბლი „ცისარტყელა", ანსამბლი „კოლხეთი", სამუსიკო სკოლის პედაგოგები, მომღერლები ანი ვეკუა, ნინო გოთოშია, მსახიობი რამაზ ლოლუა, მოცეკვავეები.

მათ თავად საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი მამუკა ჭოხონელიძე მეგრული ხალხური სიმღერით „ვაგიორქო მა" შეუერთდა. სცენა „სიკეთის მარათონის" გმირებს დაეთმო: ლამარა ბუსქანძე დამსახურებული პედაგოგი (ხობი), ლალიტა ფიფია (ქვემო ქვალონი), გოგიტა ჩუბინიძე, მანანა ცინაძე (ჭალადიდი), ქოქოლი გვასალია, ნინო ოკუჯავა (საჯიჯაო) რიმა უბილავა (ხობი), ვალერი ნარსია (ხეთა), 105 წლის თამარ ჯალაღონია (გურიფული), ლუკა შამუგია, ბელა ადამია (ახალი ხიბულა) და მრავალი სხვა.

კონცერტის მიმდინარეობისას დროდადრო ცხადდებოდა ანგარიშის ნომერი და შემოწირულობათა ოდენობა.

–მადლობა ყველას, თითოეული თქვენთაგანი ხართ ამ იდეის ავტორი და სულისჩამდგმელი, მითუმეტეს, როცა დღევანდელი საღამო მეუფე გრიგოლის ლოცვაკურთხევით ტარდება. მადლობა უფალს, რომ ვარ მისი შვილი, ვცხოვრობ მის საუფლოში. მადლობა უფალს, რომ ერთად ვართ, რომ შეგვიძლია ვაკეთოთ სიკეთე, გავიღოთ მცირედი წვლილი, რომ დავეხმაროთ მოყვასს, ჩვენს გვერდით მდგომს. არავინ არ იცის, ჩვენ როდის დაგვჭირდება ხელის გამოწვდენა. იმედი მაქვს „სიკეთის მარათონი" ამით არ დასრულდება. იგი დღეს იღებს სტარტს. პირობას ვდებ, მას მე ჩავუდგები სათავეში. ჩვენ თქვენთან ერთად ასეთ საღამოებს მრავალგზის ჩავატარებთ. მაშ, განვიწმინდოთ წყენისგან. შინაური გარემო ყველაზე კარგია, დღეს აქ უდაოდ შინაური გარემო შევქმენით ყველამ ერთად და მოდით, ჩვენს დიდ ოჯახს ამ ოჯახურ გარემოს გაუმარჯოს,–თქვა ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ და სცენაზე უხმო მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ გოგა ღურწკაიას.

დროდადრო კვლავ ცხადდება ინფორმაცია შემოწირულობების შესახებ.

–მოგესალმებით ყველას,–მიმართა საზოგადოებას მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოგა ღურწკაიამ. ბედნიერი ვარ დღევანდელი დღე რომ შედგა. როდესაც საკრებულოს თავმჯდომარისაგან საღამოს ჩატარების იდეა წამოვიდა, თითოეული ჩვენთაგანი, მზად იყო ამ იდეის აღსრულებისათვის, ყველა ცდილობდა თავისი შესაძლებლობა, მცირედი წვლილი მაინც შეეტანა ამ დიდ საქმეში. მინდა, თითოეულ მათგანს დიდი მადლობა ვუთხრა იმისათვის, რადგან ყველამ გაითავისა, რომ კეთილ საქმეს აკეთებდნენ. ალბათ უფალი მოგვცემს იმის ძალას, რომ მრავალი კეთილი საქმე ვაკეთოთ, თუმცა გასაკეთებელი კიდევ წინ არის. დარწმუნებული ვარ, რომ ერთმანეთს ერთობლივად ლამაზ დღეებს ვაჩუქებთ.



ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ და ბატონმა გოგა ღურწკაიამ შემოწირულობების თანხა გადასცეს „სიკეთის მარათონის" გმირებს ლალიტა ფიფიას, გოგიტა ჩუბინიძეს, ნინო გოთოშიას, ნინო ოკუჯავას, ლუკა შამუგიას, ნოჯიხევის დედათა მონასტერს, შუა ხორგის ეკლესიას, 500-500 ლარი.

ვალერი ნარსიას, ნარგიზა ბერაიას, მანანა ცინაძეს, ლამარა ბუსკანძეს, ქოქოლი გვასალიას, გელა ადამიას, ნინა ნორაკიძეს, რომა უბილავას, თამარ ჯალაღონიას 300-300 ლარი.

ბოლოს ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ მოწიწებით უხმო სცენაზე მეუფე გრიგოლს და სიმბოლური საჩუქარი ოქროს კალამი გადასცა–მეუფე ხშირად გვანებივრებს ბრძნული ქადაგებით. ეს არის დიდი ენერგია, სითბო, რითაც ხშირად გვასხივოსნებს, ამ კალამში გამოულეველი ყოფილიყოს ის მელანი, რომლითაც ამ სიბრძნეს ქაღალდზე გადმოიტანთ–თქვა ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ და გაახმოვანა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საზოგადოებაში განსაკუთრებული ღვაწლისათვის ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის მეუფე გრიგოლისათვის, სულიერების განმტკიცების, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობის, ჰუმანური და მაღალზნეობრივი პრინციპების დასამკვიდრებლად გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის ხობის საპატიო მოქალაქის სტატუსის მინიჭების შესახებ.



–მადლობა ასეთი ყურადღებისა და დაფასებისთვის თითოეული თქვენთაგანი ჩვენი ეკლესიის ერთგული შვილია. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ. ღმერთმა შეგაძლებინოთ. ჩვენი სულიერი მოღვაწეობა სასარგებლო იყოს თითოეული ჩვენთაგანისა და სამშობლოსათვის.

–ძალიან ლამაზი საღამოა. მიჭირს მოვნახო სიტყვა, რომელიც დაიტევს იმ დიდ გრძნობას, რომელიც ჩემში ჩაიღვარა. მინდა გითხრათ, რომ ეს საქველმოქმედო საღამო არა მარტო მარათონის გმირებს, არამედ თითოეულ თქვენთაგანს ეკუთვნის. მინდა გითხრათ, რომ ვინც გასცემს, მეტს მიიღებს, მადლობა იმ ადამიანებს, რომლებმაც საღამოში თავისი სურვილით და ნებით მიიღეს მონაწილეობა. ვაჩუქოთ ერთმანეთს სიყვარული, ბევრ ადამიანს ეს დღე სიცოცხლეს გაუხალისებს, გაუხანგრძლივებს და იმედს ჩაუსახავს. მართალია, ეს დღე ძალიან გასახარი და მისაბაძია, მაგრამ მეორეს მხრივ ქრისტიანისთვის ჩვეულებრივია, რადგან ქრისტიანის ცხოვრების წესი მოწყალების გარეში არ არსებობს. არ არის დასამალი, რომ ქრიატიანობა შევინარჩუნეთ ნათლობით, პირჯვრის გადასახვით, სანთლის დანთებით, მაგრამ გაგვიჭირდა ქრისტიანული ცხოვრება. ამ საღამოს სხვა ყველაფერთან ერთად აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. გპირდებით, რომ აქტიური მონაწილე ვიქნები ასეთი საღამოების,–თქვა მეუფე გრიგოლმა და დამსწრე საზოგადოება და საღამოს მონაწილეები დალოცა.

–შევწიროთ უფალს მადლობა, რომ არ მოგვიშალოს ერთმანეთთან მისასვლელი გზა,–ამბობს მამუკა ჭოხონელიძე.

„სიკეთის მარათონი" გრძელდება... სცენაზე ერთმანეთს ცვლიან მომღერლები, მოცეკვავეები, მუსიკის პედაგოგები, საღამოს წამყვანები, დარბაზი სიჩუმით, ემოციით, ცრემლნარევი სიხარულით, იმედითა და რწმენით აივსო.

„სიკეთის მარათონმა" ასობით ადამიანის არსება აავსო სიკეთით და მომავლის იმედით, ასობით ადმიანს მოეფერა, საწუხარი შეუმსუბუქა, რწმენა გაუძლიერა. ვინ იცის რამდენი გაბოროტებული ადამიანი დააფიქრა და ადამიანის მოვალეობა, მისი ამქვეყნად მოვლენის დანიშნულება შეახსენა.

ეს საღამო და მისი მონაწილენი (არას ვამბობ მხოლოდ ორგანიზატორებზე, იდეის ავტორგანმხორციელებლებზე) გახდნენ უამრავი ადამიანის ჭირის გამზიარებლები, სულის ჭრილობების მკურნალნი, გულში ჩამქრალი იმედის გამღვივებელნი, რწმენა და იმედი.

საღამო დამთავრდა „მრავალჟამიერით".

სცენაზე ყველა მონაწილე ავიდა და ადამიანის სულიერმა ღირებულებებმა გაათბო უამრავი ადამიანის გული... დარბაზი ნელ-ნელა დაიცალა, ფოიეში სიხარულითა და იმედით აღსავსე სახეები ცრემლნარევი ღიმილით დამხვდა.

„სიკეთის მარათონი" გრძელდებოდა იმ სითბოსა და სიყვარულში, რაც უკვე ცარიელ დარბაზს და ხალხმრავალ ქუჩას გამოყვა.

მომაცილებდა ქალბატონი ჯულიეტა ქვარაიას მიერ ღონისძიების ბოლოს წაკითხული ლექსის სტრიქონები...

„მე აქ გავჩნდი, მე სიცოცხლე
აქ დავიწყე,
საქართველო–მე სხვა ღმერთი
არ მყოლია"

ირგვლივ იმედი იდგა...

„მარათონის გმირების" იმედი, რწმენა ხვალისა და მერმისისა.

იმედი ბოროტზე კეთილის გამარჯვებისა, იმედი ერთიანობისა და ძლიერებისა.

უფალს მადლობა, რომ ქართველებად გაგვაჩინა.

უფლს მადლობა, რომ სიყვარულით გაგვაძლიერა.

უფალს მადლობა, რომ ერთმანეთის ლხინსა და ჭირის მოზიარენი გაგვხადა.

მჯერა „სიკეთის მარათონი" მალე დაბრუნდება მეტი რწმენით, მეტი სიკეთითა და მეტი სიყვარულით.

**მერი ლაგვილავა**

# უკვდავებაში გადასული სახელები


გოგა ბერაია


გოგა ჭითანავა


დათა ხურცილავა


ლევან ჭოჭუა


მიხეილ იოსავა


გოგი ქარჩავა


ზვიად დათუაშვილი


ლევან ტურავა


რამაზ კიტია

2008 წლის აგვისტოში, კიდევ ერთხელ, დიდი საწუხარი და სადარდებელი გაუჩნდა საქართველოს. გადატანილი უბედურების შემდეგ ისევ ბორგავს იგი, ისევ შფოთავს და ეძებს დაკარგულ მშვიდობას. ისევ ცდილობს სხვის მიერ მითვისებული საკუთარი მიწა-წყლის დაბრუნებას. უბედურება კი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. მაშინ, როცა საქართველოს ტერიტორია შაგრენის ტყავივით შეიკუმშა და დანაწევრდა. ჯერ იყო და აღმოსავლეთით ჩამოგვაჭრეს საინგილოდ წოდებული ისტორიული ჰერეთის ტერიტორია, დასავლეთით საკმაოდ დიდი ადგილებიც მას მიჰყვა. დაგვყვეს ავტონომიებად და საქართველოს კიდევ უფრო შემცირების ტენდენციას ჩაუყარეს საფუძველი, ჩვენი ძმები აფხაზები და ოსები აგვიმხედრეს.

სწორედ ამიტომ ბორგავდა საქართველო, ამიტომ არა აქვს მას მშვიდი ცხოვრების უფლება დღეს.

ასე იყო იმ აგვისტოს დღებშიც 2008 წელს, რომელიც უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა და ერის მეხსიერებაში აღიბეჭდა. მთელი ქვეყნის მოსახლეობა საკუთარი თვალით უყურებდა და ხედავდა, თუ რა ტრაგედია ტრიალებდა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში. ეს იყო XXI საუკუნეში ჩადენილი უდიდესი სისასტიკე, დაუნდობლობა, უკანონობა და ჯალათობა ქართველი ხალხის მიმართ, რომელსაც ახორციელებდა რუსი ოკუპანტი.

აგვისტოს ომში, ჩვენმა ახალგაზრდობამ, მტრის ტყვიას მკერდი შეუშვირა, გასაჭირი, უმძიმესი პრობლემები და ომები სახელმწიფოს დაბადების განუყრელი თანამავალია. ომი ადამიანის, საზოგადოების შესაძლებლობათა მაქსიმალური დაძაბვისა და გამოვლინების პროცესია.

სწორედ, ამ ახალგაზრდების შესაძლებლობების გამოვლინებით დავინახეთ, რომ თავსმოხვეული, უსამართლო ომის მოგებაც შეიძლება, რომ ჩვენ ომს მოვიგებთ და გამარჯვება ქართველთა სახელმწიფოში სამარადისოდ დაიმკვიდრებს.

...მანამდე კი ჩვენ გვყავს აგვისტოს ომის გმირები, რომლებმაც თვალნათლივ დაგვანახეს, როგორ უნდა მამულისათვის თავდადება.

საქართველოსთვის ეს ძალიან მძიმე ომი იყო, რადგან მოდიოდა მტერი და გვართმევდა, მოდიოდა და გვიკლავდა. ამ ომის შემყურენი ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს მოვუყვებით ქართველ გმირებზე არა შორეული ისტორიიდან, არამედ ვეტყვით დღევანდელ რეალობაში არსებულ გმირებზე. ამ კეთილ, იუმორითა და სიყვარულით სავსე ბიჭებზე, რომლებმაც სხვათა სიცოცხლის გადასარჩენად საკუთარი სიცოცხლე გაიღეს. მოკვდნენ ულამაზესი, უმშვენიერესი სულის ბიჭები, მოკვდნენ ჩვეულებრივად, ყველაზე კარგები და მართლა საუკეთესონი–ცოტნე დადიანები.

მათ ჩვენს თვალწინ საქართველოს ისტორია შექმნეს, ჩვენთვის და ჩვენს მაგივრად, ჩვენს გადასარჩენად, ჩვენი შვილებისთვის.

მათი სახელი მანამ იცოცხლებს, სანამ ჩვენ ვიქნებით, სანამ ჩვენი შვილები და შვილიშვილები იქნებიან და ასე უკვდავებაში გადავა მათი სახელები, რომლებმაც თავიანთი გმირობით, საკუთარი სიცოცხლე ჩვეულებრივად, უანგაროდ გაიმეტეს, მათი ხანმოკლე სიცოცხლე მარადიული ხსოვნაა, თვალშეუმშრალი ცრემლია ათასობით უდანაშაულო თუ სამშობლოსათვის გულანთებული და თავდადებული ჭაბუკებისა.

მტკიცედ გვჯერა, რომ ჩვენს ომს წაგება არ უწერია, რადგან ჩვენი ბრძოლა წმინდაა და სამართლიანი.

ჩვენ ვივლით და ვიბრძოლებთ ისე, რა გზითაც მიგვიძღოდნენ ბრძოლებში ჩვენი ჭაბუკები: მიშიკო იოსავა, დათა ხურცილავა, ზვიად დათუაშვილი, გოგიტა ქარჩავა, ლევან ტურავა, გოგა ბერაია, ლევან ჭოჭუა, გოგა ჭითანავა, რამაზ კიტია.

საქართველოში კვლავ უნდა გუგუნებდეს მძლავრი „მრავალჟამიერი“, რომელიც ჩვენს ხალხს მრავალჟამიერ სიცოცხლისაკენ მოუწოდებს და რომლისთვისაც ჩვენმა პირტიტველა ბიჭებმა თავი დადეს.

**მანანა შულაია**

---

# 1992 წლის აგვისტო აფხაზეთში

ძაფი წარსულიდან

*აგვისტო...*

*ყველაზე მშვიდი და წყნარი თვე თვეებს შორის.*

*მართალია, იგი მშვიდი და წყნარია იმ ხალხებისთვის რომელსაც არ აღელვებს პოლიტიკური ვითარებები, არ ფიქრობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, არის თავისუფალი და დამოუკიდებელი, ცხოვრობს არასადაო მიწაზე.*

*ჩვენ, ქართველები კი ნამეტან საინტერესო და მიმზიდველ მიწაზე ვცხოვრობთ, სადაც წარმტაცი ბუნებითა და სიმდიდრით იხიბლებოდა უცხო ტომთა შვილები და ისინიც მადაალძრულნი მიისწრაფვოდნენ მის დასაპყრობად და დასამორჩილებლად. მათ შურსა და მტრობას იწვევდა შემართება და თავისუფლებისაკენ თავგანწირული სწრაფვა. ამ მიზეზების გამო მრავალი მტერი ჰყავდა საქართველოს.*

*სწორედ ამიტომ, ქართველთა ცხოვრება ისე აეწყო, რომ იგი მუდამ მზად უნდა ყოფილიყო საბრძოლველად, მისი ხმალი ქარქაშში არ უნდა ჩაგებულიყო.*

*სიმართლე, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ძლიერი სურვილი–გამარჯვების საწინდრად ქცეულა ჩვენთვის*

*... და იზრდებოდნენ თაობები იმ გმირთა მაგალითებზე, რომელნიც საკუთარი კეთილდღეობის უარყოფითა და საქვეყნო საქმისათვის თავდადებით ემსახურებოდნენ საკუთარ სამშობლოს.*

*მრავალ მტერთაგან, ერთი ყოველთვის გამორჩეული იყო თავისი მზაკვრობით, მოღალატეობით, ცბიერებით, მას საქართველოსთან ომი უნდოდა, რაც ჩვენი დღევანდელობის სამწუხარო რეალობა იყო. მაგრამ ჯერ კიდევ, სანამ სამუდამოდ გვიან არ არის, აფხაზმა ხალხმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ამ ომით არ სრულდება ჩვენი თანაცხოვრება და თანაარსებობა. გადამთიელი თვის გზას გაუდგება, ყველა თავისას ეწევა, ჩვენ კი ქართველები და აფხაზები არსად წამსვლელები არა ვართ, რადგან ჩვენ ორთავ მხარეს გვაქვს საერთო მიწა-წყალი და სხვა დედასამშობლო არ გაგვაჩნია. ამიტომაც ვიხსენებ იმ დღეების ქრონიკას, რათა იგი არასოდეს გამეორდეს და დავიტოვოთ ერთმანეთთან მისასვლელი ბილიკები. შეურიგებლობას, მომავალი თაობები არ გვაპატიებენ.*

* * *

14 აგვისტო. საქართველოს ეროვნული გვარდიის ნაწილები აფხაზეთში შევიდნენ. ქართულ არმიას წინააღმდეგობას უწევდა უშუალოდ აფხაზეთის უზენაესი საბჭოსადმი დაქვემდებარებული აფხაზეთის გვარდია.

* * *

17 აგვისტო. რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ რუსლან ხასბულატოვმა თეთრ სახლში პრესკონფერენცია გამართა ჟურნალისტებისათვის, სადაც მან არაორაზროვანი შეფასება მისცა ჯოხარ დუდაევის განცხადებას აფხაზეთში შეიარაღებული ჩეჩნების გაგზავნის შესახებ აფხაზთა დასახმარებლად, რაც შეეხება რუსეთის ჩარევას კონფლიქტში, მან თქვა, ეს შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების ნებართვით და მასთან შეთანხმებით. ხასბუტალოვს ეჭვქვეშ არ დაუყენებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი და განაცხადა, რომ აფხაზეთი საქართველოა. მისი განუყოფელი ნაწილია.

* * *

18 აგვისტოდან, როგორც საქინფორმის კორესპონდენტები იტყობინებიან, სოხუმში გახშირდა მარადიორობის. ძარცვა-გლეჯის, ყაჩაღობის ფაქტები.

18 აგვისტოდან სოხუმში კომენდანტის საათი გამოცხადდა. ამ დღეს ქალაქის მთავარ მოედანზე დაამხეს ლენინის ძეგლი. ქალაქის კომენდანტად დაინიშნა პოლიციის გენერალ-მაიორი გია გულუა. კომენდანტის საათის მოქმედების ვადა განისაზღვრა ღამის 22 საათიდან დილის 6 საათამდე. აკრძალულია მიტინგები, გაფიცვები, დემონსტრაციები.

* * *

24 აგვისტოს ქალაქ გაგრის შესასვლელთან, სოფელ კოლხიდის მიდამოებში ერთსაათიანი ბრძოლის შემდეგ ქართველმა გვარდიელებმა უკუაქციეს აფხაზი ბოევიკები და ათი კილომეტრით დაახევინეს, ბრძოლაში სამწუხაროდ დაიღუპა ერთი გვარდიელი.

* * *

25 აგვისტოს დღისით აფხაზთა მხრიდან წამოსული 15000 კაციანი ჯარი თავს დაესხა გაგრასთან განლაგებულ საქართველოს სამხედრო შენაერთების ძალებს, გაგრის კომენდანტის ბადრი ფირცხელიანის ცნობით, თავდამსხმელებმა რამდენიმე საათიანი გააფრთებული ბრძოლის შემდეგ დაკარგეს 80-მდე კაცი, არიან დაჭრილებიც, ქართველთა მხრიდან სამი კაცი დაიღუპა.

* * *

26 აგვისტოს დილით ბანდიტებმა ააფეთქეს რკინიგზის ხიდი სადგურ ტამიშის მახლობლად რის გამოც მოძრაობა შეწყდა.

* * *

26 აგვისტო. გამთენიისას სოხუმში რკინიგზის სადგურს თავს დაესხა 50 კაციანი შეიარაღებული ჯგუფი, იერიში მოგერიებულ იქნა.

თავდამსხმელთაგან დაიღუპა სამი კაცი– ორი ადიღეელი და ერთი ჩეჩენი.

* * *

31 აგვისტოს გაგრაში დაირღვა სოჭში მიღწეული ორმხრივი შეთანხმება ორივე მხრიდან ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. დილით აფხაზურმა გვარდიამ და ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერაციის შეიარაღებულმა ჯგუფებმა გახსნეს ცეცხლი, რასაც საპასუხო რეაქცია მოჰყვა. ახლაც ისე მოხდა, როგორც მთელი ამ საომარი კონფრონტაციის მანძილზე,–ამბობს ქალაქის სამხედრო კომისარი ზურაბ პაქსაძე, –მიღწეული შეთანხმება მხოლოდ მოწინააღმდეგეთა მხრიდან ირღვევა, ქართული მხარე კი თავს იცავს.

31 აგვისტოს მომხდარი კონფლიქტის შედეგად დაჭრილია 2 ქართველი გვარდიელი.

**მანანა შულაია**

6 <<<<<<<<<<<<

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

## ბრძანება N242

**2012 წლის 20 აგვისტო ქ. ხობი**

### უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების შესახებ

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 17 აგვისტოს N1033 წერილის შესაბამისად ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების კომისიის წინადადება და გამგეობაში შემოსული მოქალაქეების განცხადებების საფუძველზე, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარებისთვის სოციალური პაკეტიდან გამოიყოს **თანხა 16520 (თექვსმეტიათას ხუთასოცი)** ლარის ოდენობით.
2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას (გ. ღურწკაია) ბრძანების პირველი პუნქტის აღსრულების უზრუნველყოფა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თანახმად დანართისა.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. N192).

**საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე**

დანართი
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
2012 წლის 20 აგვისტოს N242 ბრძანებისა

| № | გვარი სახელი | მისამართი | თანხა |
|---|---|---|---|
| 1 | აბშილავა ბადრი | თორსა-დღვაბა | 70 |
| 2 | ქადარია მერიკო | თორსა-დღვაბა | 70 |
| 3 | ჯახია სოფიკო | ზამისკური | 100 |
| 4 | ქირია ანტისა | ზამისკური | 100 |
| 5 | გვაჯაია დალი | ზამისკური | 70 |
| 6 | ხაზალია მაკა | ზამისკური | 70 |
| 7 | სუვოროვა ვალენტინა | ზეთა | 70 |
| 8 | ფარულავა ელისო | ზეთა | 100 |
| 9 | ტურავა ნაირი | ზეთა | 100 |
| 10 | ცეკვავა ეთერი | ზეთა | 70 |
| 11 | ქარდავა ია | ზეთა | 70 |
| 12 | პერტია ზაირა | ზეთა | 70 |
| 13 | ცეკვაშვილი ნინო | ზეთა | 100 |
| 14 | აბშილავა მალხაზი | ზეთა | 70 |
| 15 | ქავთარაძე იამზე | ზეთა | 70 |
| 16 | თულაძე ლეილა | ზეთა | 70 |
| 17 | კუკავა ლეილა | ზეთა | 70 |
| 18 | კვარაცხელია ფირუზა | პირველი მაისი | 100 |
| 19 | როდონაია როზა | პირველი მაისი | 70 |
| 20 | ჭითაშვილი მზიული | პირველი მაისი | 70 |
| 21 | ფილიპაია ნორა | პირველი მაისი | 70 |
| 22 | ჩოკორაია ოთარი | პირველი მაისი | 100 |
| 23 | კვიკვინია თამუნა | პირველი მაისი | 100 |
| 24 | კვირკვია მედეა | პირველი მაისი | 150 |
| 25 | ქურიძე ნინო | გურიფული | 70 |
| 26 | ალექსანდრია ნანული | გურიფული | 70 |
| 27 | ჯოჯუა დარეჯანი | გურიფული | 150 |
| 28 | საბეკია ვარლამი | გურიფული | 70 |
| 29 | ვადაქარია გულნარა | გურიფული | 70 |
| 30 | ხურცია როსტევანი | გურიფული | 70 |
| 31 | აბაკელია ზისადარი | პირველი ხორგა | 100 |
| 32 | გვასალია ირმა | პირველი ხორგა | 70 |
| 33 | შულაია არიადნა | პირველი ხორგა | 70 |
| 34 | ლომთაძე იზაბელა | პირველი ხორგა | 70 |
| 35 | მირცხულავა ნათია | პირველი ხორგა | 100 |
| 36 | მირცხულავა ვენედიქტე | პირველი ხორგა | 100 |
| 37 | ანტონენკო ნელი | პირველი ხორგა | 70 |
| 38 | ტყებუჩავა ნანა | პირველი ხორგა | 70 |
| 39 | კორტავა ვალენტინა | პირველი ხორგა | 70 |
| 40 | კორტავა ნუნუ | პირველი ხორგა | 70 |
| 41 | ბერაია ელისო | პირველი ხორგა | 70 |
| 42 | ჭითანავა თეონა | პირველი ხორგა | 100 |
| 43 | გაბელაია ელდარი | შუა ხორგა | 150 |
| 44 | კონჯარია ლიუნინა | შუა ხორგა | 70 |
| 45 | კიკალეიშვილი ლეილა | შუა ხორგა | 70 |
| 46 | ბერაია ლამარა | შუა ხორგა | 70 |
| 47 | შელია რობერტი | შუა ხორგა | 70 |
| 48 | წულაია ზურაბი | შუა ხორგა | 100 |
| 49 | დათუაშვილი დარიკო | შუა ხორგა | 70 |
| 50 | მურღულია ომიანე | შუა ხორგა | 70 |
| 51 | ჯობავა ჯამბული | შუა ხორგა | 100 |
| 52 | ცირდავა თემური | შუა ხორგა | 100 |
| 53 | ხარჩილავა ქეთო | ყულევი | 70 |
| 54 | რობაქიძე მზია | ჭალადიდი | 100 |
| 55 | გელენიძე შორენა | ჭალადიდი | 70 |
| 56 | კუცია მზიური | ჭალადიდი | 70 |
| 57 | მიქელთაძე მანანა | ჭალადიდი | 70 |
| 58 | კურტანიძე ქეთევანი | ჭალადიდი | 70 |
| 59 | ძაძამია მანანა | ჭალადიდი | 70 |
| 60 | პირტახია ლამარა | ჭალადიდი | 70 |
| 61 | კოპალაძე იუზა | ჭალადიდი | 70 |
| 62 | გიგაშვილი მთვარისა | ჭალადიდი | 100 |
| 63 | ჩაფიძე ნათელა | ჭალადიდი | 70 |
| 64 | სამხარაძე სერგო | საგვიჩიო | 70 |
| 65 | ჭულუხაძე როზა | საგვიჩიო | 70 |
| 66 | შუბითიძე ნანი | საგვიჩიო | 70 |
| 67 | ქაქუთია ნინო | ქარიატა | 70 |
| 68 | ფოცხორაია ძაბუტა | ქარიატა | 70 |
| 69 | ქირია ქეთო | ქარიატა | 70 |
| 70 | ბერაია ნარგიზა | ქარიატა | 70 |
| 71 | ლურსმანაშვილი ეთერი | ახალსოფელი | 100 |
| 72 | აბრამალაძე თამაზი | ახალსოფელი | 70 |
| 73 | კიპაროიძე სულიკო | ახალსოფელი | 70 |
| 74 | ხოჭოლავა ტარიელი | ახალსოფელი | 70 |
| 75 | დავაძე ნინო | ახალსოფელი | 100 |
| 76 | კაპანაძე ციალა | ახალსოფელი | 70 |
| 77 | ზამბახიძე ვლადიმერი | ახალსოფელი | 70 |
| 78 | ბარბაქაძე გულნარა | ახალსოფელი | 70 |
| 79 | კვირკველია ლუარა | ქვემო ქვალონი | 100 |
| 80 | ფარცვანია ნორა | ქვემო ქვალონი | 70 |
| 81 | შონია ზოია | ქვემო ქვალონი | 70 |
| 82 | ჯღარკავა ლეილა | ქვემო ქვალონი | 70 |
| 83 | გოგუა ლუარა | ქვემო ქვალონი | 70 |
| 84 | ქორიძე თინა | ქვემო ქვალონი | 70 |
| 85 | გრიგოლია ასმათი | ქვემო ქვალონი | 70 |
| 86 | მიქაია როზა | ქვემო ქვალონი | 70 |
| 87 | ალანია სიმონი | ქვემო ქვალონი | 70 |
| 88 | ჭანტურია თამარი | ქვემო ქვალონი | 70 |
| 89 | გოგუა იადონი | ქვემო ქვალონი | 70 |
| 90 | რუსია თინათინი | ქვემო ქვალონი | 70 |
| 91 | დოლბაია ნაილი | ქვემო ქვალონი | 200 |
| 92 | ქარჩავა ზევინარი | ქვემო ქვალონი | 70 |
| 93 | ალანია მზეონა | ზემო ქვალონი | 70 |
| 94 | პაჭკორია მერი | ზემო ქვალონი | 70 |
| 95 | ლუხუტაშვილი ვალერიანი | ზემო ქვალონი | 70 |
| 96 | შეროზია სვეტლანა | ზემო ქვალონი | 70 |
| 97 | ნაჭყებია ბაბუცა | ზემო ქვალონი | 70 |
| 98 | ქაქუთია მერი | ნოჯიხევი | 70 |
| 99 | მიქავა გოგუცა | ნოჯიხევი | 70 |
| 100 | ჩქოფორია დოდო | ნოჯიხევი | 100 |
| 101 | ზარანდია ია | ნოჯიხევი | 100 |
| 102 | გვასალია ნატო | ნოჯიხევი | 70 |
| 103 | ზარანდია ორმიზა | ნოჯიხევი | 70 |
| 104 | ზარანდია ნათელა | ნოჯიხევი | 100 |
| 105 | კოდუა ელვარდი | ნოჯიხევი | 100 |
| 106 | დგებუაძე გულადი | ნოჯიხევი | 70 |
| 107 | კილასონია თალიკო | ნოჯიხევი | 100 |
| 108 | ალექსანდრია ვახტანგი | ნოჯიხევი | 100 |
| 109 | გვალია ნათია | ნოჯიხევი | 150 |
| 110 | კანკია ვენერა | ნოჯიხევი | 70 |
| 111 | გვასალია თამარი | საჯიჯაო | 100 |
| 112 | ჭანტურია ვლადიმერი | საჯიჯაო | 100 |
| 113 | ალექსანდრია ლავრენტი | საჯიჯაო | 100 |
| 114 | ვართანოვი სოფიკო | საჯიჯაო | 100 |
| 115 | ჭანტურია მანია | საჯიჯაო | 70 |
| 116 | ნადარაია ირმა | საჯიჯაო | 70 |
| 117 | სერგია პეპელა | საჯიჯაო | 70 |
| 118 | შავიძე ნაზი | საჯიჯაო | 70 |
| 119 | კვარაცხელია ედემი | საჯიჯაო | 70 |
| 120 | თირქია შილიფი | საჯიჯაო | 70 |
| 121 | ჭაჭია ველოდი | საჯიჯაო | 70 |
| 122 | ადონია დავითი | საჯიჯაო | 70 |
| 123 | ლაცაბიძე თინა | საჯიჯაო | 70 |
| 124 | ჭანტურია ზაური | საჯიჯაო | 70 |
| 125 | ჯანაშია ნინო | საჯიჯაო | 70 |
| 126 | კვირკვაია რაისა | ახალი ხიბულა | 70 |
| 127 | იზორია ლელა | ახალი ხიბულა | 70 |
| 128 | გაბელია ფატიმა | ახალი ხიბულა | 70 |
| 129 | ჯოჯუა შორენა | ახალი ხიბულა | 70 |
| 130 | შულაია ხოხოლი | ახალი ხიბულა | 70 |
| 131 | ქავთარაძე ნატაშა | ძველი ხიბულა | 100 |
| 132 | თოდუა ალექსანდრე | ძველი ხიბულა | 100 |
| 133 | ჯაკონია სერაპიონი | ძველი ხიბულა | 70 |


| | | | |
|---|---|---|---|
| 124 | ჭანტურია ზაური | საჯიჯაო | 70 |
| 125 | ჯანაშია ნინო | საჯიჯაო | 70 |
| 126 | კვირკვაია რაისა | ახალი ხიბულა | 70 |
| 127 | იზორია ლელა | ახალი ხიბულა | 70 |
| 128 | გაბელია ფატიმა | ახალი ხიბულა | 70 |
| 129 | ჯოჯუა შორენა | ახალი ხიბულა | 70 |
| 130 | შულაია ხოხოლი | ახალი ხიბულა | 70 |
| 131 | ქავთარაძე ნატაშა | ძველი ხიბულა | 100 |
| 132 | თოდუა ალექსანდრე | ძველი ხიბულა | 100 |
| 133 | ჯაკონია სერაპიონი | ძველი ხიბულა | 70 |


| | | | |
|---|---|---|---|
| 134 | ქავთარაძე ზაზა | ძველი ხიბულა | 70 |
| 135 | მურვანიძე გულიკო | შავღელე | 70 |
| 136 | ბოლქვაძე შუშანა | შავღელე | 70 |
| 137 | მამულაძე ეთერი | შავღელე | 70 |
| 138 | თუთბერიძე ომარი | ბია | 70 |
| 139 | იოსავა ციალა | ბია | 100 |
| 140 | სარჩმელია ლუარა | ხობი | 200 |
| 141 | დგებუაძე თინა | ხობი | 150 |
| 142 | ჯიშქარიანი მანანა | ხობი | 100 |
| 143 | ქვარცხავა სულიკო | ხობი | 70 |
| 144 | სვანიძე ანელა | ხობი | 70 |
| 145 | მიცხულავა ლამარა | ხობი | 100 |
| 146 | ნადარაია პატიკო | ხობი | 70 |
| 147 | შონია თინა | ხობი | 70 |
| 148 | ქვარცხავა დემური | ხობი | 70 |
| 149 | სხულუხია ლუნა | ხობი | 70 |
| 150 | დობიტკო ალა | ხობი | 70 |
| 151 | საბახტარაშვილი ვალერი | ხობი | 70 |
| 152 | ცხომარია აზა | ხობი | 70 |
| 153 | კიტია კახა | ხობი | 70 |
| 154 | თუთბერიძე ირა | ხობი | 200 |
| 155 | გვასალია თეა | ხობი | 70 |
| 156 | ტყებუჩავა ჯემალი | ხობი | 150 |
| 157 | გიგიბერია მზია | ხობი | 70 |
| 158 | ქირია ვლადიმერი | ხობი | 70 |
| 159 | ლოლუა მარინა | ხობი | 70 |
| 160 | ბართაია სოფიკო | ხობი | 100 |
| 161 | სამყურაშვილი ნონა | ხობი | 100 |
| 162 | თოდუა ანეტა | ხობი | 70 |
| 163 | ქორაია შუშანიკა | ხობი | 100 |
| 164 | ჯინჯოლავა ციალა | ხობი | 200 |
| 165 | სახოკია ნაზი | ხობი | 100 |
| 166 | გაბისონია მიხეილი | ხობი | 150 |
| 167 | გაბეჩავა გაბრიელი | ხობი | 100 |
| 168 | თურქია ნაპალეონი | ხობი | 70 |
| 169 | კვიკვინია პაატა | ხობი | 70 |
| 170 | ჩოკორაია დარეჯანი | ხობი | 70 |
| 171 | თხელია თეა | ხობი | 70 |
| 172 | თათარიშვილი როსტომი | ხობი | 70 |
| 173 | ვადაქარია სერგო | ხობი | 100 |
| 174 | ჯახია ჯულიეტა | ხობი | 70 |
| 175 | ალანია ლუარა | ხობი | 70 |
| 176 | ჭაკუა ნათელა | ხობი | 100 |
| 177 | ქაჩიბაია მზია | ხობი | 70 |
| 178 | ვეკუა მზია | ხობი | 70 |
| 179 | ესებუა რუსუდანი | ხობი | 70 |
| 180 | გვაძაბია სვეტლანა | დევნილი | 100 |
| 181 | ფარცვანია გულნაზი | დევნილი | 100 |
| 182 | აძიმბაია რაისა | დევნილი | 70 |
| 183 | ზარანდია ლიანა | დევნილი | 70 |
| 184 | ზარანდია გივი | დევნილი | 70 |
| 185 | ვახანია ლუბა | დევნილი | 70 |
| 186 | ბასარია ნუნუ | დევნილი | 70 |
| 187 | კირთაძე დალი | დევნილი | 70 |
| 188 | ახალაია გიორგი | დევნილი | 100 |
| 189 | გაბელია დარეჯანი | დევნილი | 100 |
| 190 | ლეჟავა ელგუჯა | დევნილი | 100 |
| 191 | გერგაია ოთარი | დევნილი | 70 |
| 192 | ქეცბაია სოფიკო | დევნილი | 70 |
| 193 | სიჭინავა იამზე | დევნილი | 70 |
| 194 | შონია ქეთო | დევნილი | 70 |
| 195 | ქარდავა შათა | დევნილი | 70 |
| 196 | ერქვანია ლიანა | დევნილი | 70 |
| 197 | გოგოხია ამირანი | დევნილი | 70 |
| 198 | ჯაფარიძე ცირა | დევნილი | 100 |
| 199 | გაბლაია ინდიკო | დევნილი | 70 |
| 200 | ჯომიდავა მაია | დევნილი | 70 |

**საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე**

9 <<<<<<<<<<<<

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №22

## 2012 წლის 1 აგვისტო ქ. ხობი

დანართი 1

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 1 აგვისტოს N22 დადგენილებისა ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ბალანსი

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2011 წლის გეგმა | 2012 წლის გეგმა |
|---|---|---|
| ***შემოსავლები*** | ***7 188,2*** | ***9 011,8*** |
| გადასახადები | 5 180,9 | 6 083,8 |
| გრანტები | 1 482,9 | 2 481,3 |
| სხვა შემოსავლები | 524,4 | 446,7 |
| ***ხარჯები*** | ***5055,6*** | ***5841,3*** |
| შრომის ანაზღაურება | 1 324,8 | 1 576,7 |
| საქონელი და მომსახურება | 986,4 | 1 026,1 |
| პროცენტი | 85,0 | 185,7 |
| სუბსიდიები | 2 353,3 | 2 723,1 |
| გრანტები | 0,0 | 0,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 306,1 | 329,7 |
| სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| ***საოპერაციო სალდო*** | ***2 132,6*** | ***3 170,5*** |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **2 393,1** | **3 489,6** |
| ზრდა | 2 493,1 | 3 733,6 |
| კლება | 100,0 | 244,0 |
| ***მთლიანი სალდო*** | ***-260,5*** | ***-319,1*** |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **-301,8** | **-525,9** |
| ზრდა | 76,2 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 76,2 | |
| სესხები | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | | |
| კლება | 378,0 | 525,9 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 378,0 | 525,9 |
| სესხები | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0,0 | 0,0 |
| ***ვალდებულებების ცვლილება*** | ***-41,3*** | ***-206,8*** |
| ზრდა | 0,0 | 0,0 |
| საგარეო | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0,0 | 0,0 |
| კლება | 41,3 | 206,8 |
| საგარეო | | |
| საშინაო | 41,3 | 206,8 |
| ***ბალანსი*** | ***0,0*** | ***0,0*** |

***საკრებულოს თავმჯდომარისმოვალეობის შემსრულებელი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ბუკია***

დანართი 2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 1 აგვისტოს N22 დადგენილებისა ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2011 წლის გეგმა | 2012 წლის გეგმა |
|---|---|---|
| ***შემოსულობები*** | ***7 288,2*** | ***9 255,8*** |
| შემოსავლები | 7 188,2 | 9 011,8 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 100,0 | 244,0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| ***გადასახდელები*** | ***7 590,0*** | ***9 781,7*** |
| ხარჯები | 5 055,6 | 5 841,3 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 2 493,1 | 3 733,6 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების კლება | 41,3 | 206,8 |
| ***ნაშთის ცვლილება*** | ***-301,8*** | ***-525,9*** |

***საკრებულოს თავმჯდომარისმოვალეობის შემსრულებელი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ბუკია***

დანართი 3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 1 აგვისტოს N22 დადგენილებისა ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები

| შემოსულობების კოდები | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2011 წლის გეგმა | 2012 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| | ***შემოსულობები*** | ***7 288,2*** | ***9 255,8*** |
| | შემოსავლები | 7 188,2 | 9 011,8 |
| | არაფინანსური აქტივების კლება | 100,0 | 244,0 |
| | ფინანსური აქტივების კლება | 0,0 | 0,0 |
| | ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | ***შემოსავლები*** | ***7 188,2*** | ***9 011,8*** |
| 11 | გადასახადები | 5 180,9 | 6 083,8 |
| 11111 | საშემოსავლო გადასახადი | | |
| 11311 | ქონების გადასახადი | 5 180,9 | 6 083,8 |
| 113111 | საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 3 060,0 | 3 988,0 |
| 113112 | უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | | |
| 113113 | ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | | |
| 113114 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 80,0 | *167,0* |
| 113115 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 2 040,9 | *1 928,8* |
| 1136 | სხვა გადასახადები ქონებაზე | | |
| 116 | სხვა გადასახადები | | |
| 13 | გრანტები | 1 482,9 | 2 481,3 |
| 131 | საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | | |
| 132 | უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები | | |
| 133 | სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | 1 482,9 | 2 481,3 |
| | გათანაბრებითი ტრანსფერი | | |
| | მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 180,0 | 203,0 |
| | სპეციალური ტრანსფერი | 1 302,9 | 2 278,3 |
| | მ.შ. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | 722,6 | 888,3 |
| | მ.შ. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | | |
| | მ.შ. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | | 400,0 |
| | მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | 580,3 | 990,0 |
| 14 | სხვა შემოსავლები | 524,4 | 446,7 |
| 141 | შემოსავლები საკუთრებიდან | 113,0 | 85,0 |
| 1411 | პროცენტები | | |
| | დივიდენდები | | |
| | რენტა | 113,0 | 85,0 |
| 14151 | მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 107,0 | 80,0 |
| 14153 | მოსაკრებელი ნადირობის ნებართვაზე | | |
| 14154 | შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 6,0 | 5,0 |
| 14159 | სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | | |
| 142 | საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 178,7 | 212,0 |
| 1422 | ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 48,0 | 47,3 |
| 14222 | საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი | | |
| 14223 | სანებართვო მოსაკრებელი | 16,1 | 10,0 |
| 14227 | სახელმწიფო ბაჟი | | |
| 14229 | საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | | |
| 14221-0 | სატენდერო მოსაკრებელი | | |
| 14221-2 | სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | | |
| 142213 | სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | | |
| 142215 | კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი | | |
| 14221-6 | ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის | | |
| 14221-4 | ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 31,9 | 37,3 |
| 14229-9 | სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | | |
| 1423 | არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 130,7 | 164,7 |
| 14231 | შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან | | |
| 14232 | შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 130,7 | 164,7 |
| 143 | ჯარიმები, სანქციები და საურავები | 230,0 | 149,7 |
| 144 | ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე | | |
| 145 | შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 2,7 | |
| 31 | არაფინანსური აქტივების კლება | 100,0 | 244,0 |
| 311 | ძირითადი აქტივები | | |
| 314 | არაწარმოებული აქტივები | 100,0 | 244,0 |
| | მიწა | | |
| 32 | ფინანსური აქტივების კლება | 0,0 | 0,0 |
| | სესხები | | |
| | აქციები და სხვა კაპიტალი | | |
| | ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | საგარეო | | |
| | საშინაო | | |

***საკრებულოს თავმჯდომარისმოვალეობის შემსრულებელისაკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ბუკია***

დანართი 4

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 1 აგვისტოს N22 დადგენილებისა

ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების საბიუჯეტო კლასიფიკაცია

| ფუნქციონალური კოდი | ორგ. კოდი | დ ა ს ა ხ ელ ებ ა | 2011 წლის გეგმა | 2012 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| | **სულ** | **ხობის მუნიციპალიტეტი** | **7 590,0** | **9 781,7** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 203,0 | 503,7 |
| | | ხარჯები | 5055,6 | 5841,3 |
| | | შრომის ანაზღაურება | 1 324,8 | 1 576,7 |
| | | საქონელი და მომსახურება | 986,4 | 1 026,1 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 38,1 | 46,1 |
| | | მივლინებები | 10,3 | 10,9 |
| | | ოფისის ხარჯები | 257,7 | 328,3 |
|---|---|---|---|---|
| | **08 04** | **ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები** | **5,0** | **5,0** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 7103 | | ხარჯები | 5,0 | 5,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 5,0 | 5,0 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7103 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **08 05** | ***ავადმყოფთა სოციალური დაცვა*** | ***0,0*** | ***130,0*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 71011 | | ხარჯები | 0,0 | 130,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | 130,0 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 71011 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **08 06** | ***ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა*** | ***68,6*** | ***65,0*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 7104 | | ხარჯები | 68,6 | 65,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 68,6 | 65,0 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7104 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **08 07** | ***ერთჯერადი დახმარება*** | ***65,0*** | ***80,0*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 7109 | | ხარჯები | 65,0 | 80,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 65,0 | 80,0 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7109 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **08 08** | ***ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება*** | ***88,0*** | ***48,0*** |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 7076 | | ხარჯები | 88,0 | 48,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 88,0 | 48,0 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7076 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

***საკრებულოს თავმჯდომარისმოვალეობის შემსრულებელი***
***საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე*** ***კ. ბუკია***

>>>>>>>>>> 21

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №22

**2012 წლის 1 აგვისტო ქ. ხობი**

დანართი 5
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2012 წლის 1 აგვისტოს N22 დადგენილებისა

ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

| ფუნქციონალური კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2011 წლის გეგმა | 2012 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1 810,0 | 2 503,4 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა,ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1 671,7 | 2 098,0 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1 576,8 | 2 001,2 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 94,9 | 96,8 |
| 70113 | საგარეო ურთიერთობები | | |
| 7012 | საგარეო ეკონომიკური დახმარება | 0,0 | 0,0 |
| 70121 | ეკონომიკური დახმარება განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს | | |
| 70122 | საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით გაწეული ეკონომიკური დახმარება | | |
| 7013 | საერთო დანიშნულების მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| 70131 | საერთო საკადრო მომსახურება | | |
| 70132 | საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება | | |
| 70133 | საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| 7014 | ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები | | |
| 7015 | გამოყენებითი კვლევები საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | | |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 126,3 | 392,5 |
| 7017 | საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის | | |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 12,0 | 12,9 |
| 702 | თავდაცვა | 94,7 | 99,4 |
| 7021 | შეიარაღებული ძალები | 94,7 | 99,4 |
| 7022 | სამოქალაქო თავდაცვა | 0,0 | 0,0 |
| 7023 | საგარეო სამხედრო დახმარება | | |
| 7024 | გამოყენებითი კვლევები თავდაცვის სფეროში | | |
| 7025 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 344,2 | 562,9 |
| 7031 | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა | 65,5 | 168,6 |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 278,7 | 394,3 |
| 7033 | სასამართლოები და პროკურატურა | | |
| 7034 | სასჯელაღსრულების დაწესებულებები | | |
| 7035 | გამოყენებითი კვლევები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში | | |
| 7036 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში | | |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 1 355,4 | 1 880,7 |
| 7041 | საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა | 0,0 | 0,0 |
| 70411 | საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა | | |
| 70412 | შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა | | |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 613,5 | 191,3 |
| 70421 | სოფლის მეურნეობა | 613,5 | 191,3 |
| 70422 | სატყეო მეურნეობა | | |
| 70423 | მეთევზეობა და მონადირეობა | | |
| 7043 | სათბობი და ენერგეტიკა | 0,0 | 0,0 |
| 70431 | ნახშირი და სხვა სახის მყარი მინერალური საწვავი | | |
| 70432 | ნავთობი და ბუნებრივი აირი | | |
| 70433 | ბირთვული საწვავი | | |
| 70434 | სხვა სახის საწვავი | | |
| 70435 | ელექტროენერგეტიკა | | |
| 70436 | არაელექტრული (მზის, ქარის,წყლის) ენერგია | | |
| 7044 | სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა,მშენებლობა | 0,0 | 0,0 |
| 70441 | მინერალური რესურსების მოპოვება,მინერალური საწვავის გარდა | | |
| 70442 | გადამამუშავებელი მრეწველობა | | |
| 70443 | მშენებლობა | | |
| 7045 | ***ტრანსპორტი*** | ***741,9*** | ***1 689,4*** |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 741,9 | 1 689,4 |
| 70452 | საზღვაო ტრანსპორტი | | |
| 70453 | სარკინიგზო ტრანსპორტი | | |
| 70454 | საჰაერო ტრანსპორტი | | |
| 70455 | მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები | 0,0 | 0,0 |
| 7046 | კავშირგაბმულობა | | |
| 7047 | ეკონომიკის სხვა დარგები | 0,0 | 0,0 |
| 70471 | ვაჭრობა,მარაგების შექმნა, შენახვა და დასაწყობება | | |
| 70472 | სასტუმროები და რესტორნები | | |
| 70473 | ტურიზმი | | |
| 70474 | მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები | | |
| 7048 | გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| 70481 | გამოყენებითი კვლევები საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში | | |
| 70482 | გამოყენებითი კვლევები სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში, მეთევზეობასა და მონადირეობაში | | |
| 70483 | გამოყენებითი კვლევები სათბობსა და ენერგეტიკაში | | |
| 70484 | გამოყენებითი კვლევები სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში | | |
| 70485 | გამოყენებითი კვლევები ტრანსპორტის სფეროში | | |
| 70486 | გამოყენებითი კვლევები კავშირგაბმულობის სფეროში | | |
| 70487 | გამოყენებითი კვლევები სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში | | |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | | |
| 705 | ***გარემოს დაცვა*** | ***823,8*** | ***921,4*** |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 511,7 | 556,0 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 312,1 | 365,4 |
| 7053 | გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა | | |
| 7054 | ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა | | |
| 7055 | გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში | | |
| 7056 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში | | |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 618,0 | 1 183,6 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 0,0 | 0,0 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 437,9 | 793,9 |
| 7063 | წყალმომარაგება | 147,0 | 384,7 |
| 7064 | გარე განათება | 33,1 | 5,0 |
| 7065 | გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | | |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | | |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 129,8 | 129,9 |
| 7071 | სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები | | |
| 70711 | ფარმაცევტული პროდუქცია | | |
| 70712 | სხვა სამედიცინო პროდუქცია | | |
| 70713 | თერაპიული დანიშნულების მოწყობილობები და აპარატები | | |
| 7072 | ამბულატორიული მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| 70721 | ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება | | |
| 70722 | ***სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება*** | | |
| 70723 | სტომატოლოგიური მომსახურება | | |
| 70724 | საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება | | |
| 7073 | საავადმყოფოების მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| 70731 | ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება | | |
| 70732 | სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება | | |
| 70733 | სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება | | |
| 70734 | სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება | | |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 129,8 | 129,9 |
| 7075 | გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | | |
| 7076 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| 708 | დასვენება,კულტურა და რელიგია | 912,5 | 894,7 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 359,5 | 342,4 |

>>>>>>>>>> 22

21 <<<<<<<<< დოკუმენტი

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №22

2012 წლის 1 აგვისტო ქ. ხობი

| | | | |
|---|---|---|---|
| 70723 | სტომატოლოგიური მომსახურება | | |
| 70724 | საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება | | |
| 7073 | საავადმყოფოების მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| 70731 | ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება | | |
| 70732 | სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება | | |
| 70733 | სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება | | |
| 70734 | სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება | | |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 129,8 | 129,9 |
| 7075 | გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | | |
| 7076 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| 708 | დასვენება,კულტურა და რელიგია | 912,5 | 894,7 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 359,5 | 342,4 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 494,5 | 470,5 |
| 7083 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 40,0 | 45,5 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 12,5 | 22,1 |
| 7085 | გამოყენებითი კვლევები დასვენების,კულტურისა და რელიგიის სფეროში | 6,0 | 14,2 |
| 7086 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | | |
| 709 | განათლება | 1 195,5 | 1 187,2 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 691,3 | 642,9 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 121,8 | 56,0 |
| 70921 | *დაწყებითი ზოგადი განათლება* | | |
| 70922 | საბაზო ზოგადი განათლება | | |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | | |
| 7093 | პროფესიული განათლება | 55,2 | 96,4 |
| 7094 | უმაღლესი განათლება | 0,0 | 0,0 |
| 70941 | უმაღლესი პროფესიული განათლება | | |
| 70942 | უმაღლესი აკადემიური განათლება | | |
| 7095 | უმაღლესისშემდგომი განათლება | | |
| 7096 | განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება | | |
| 7097 | გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში | | |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 327,2 | 391,9 |
| 710 | სოციალური დაცვა | 306,1 | 418,5 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 0,0 | 130,0 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 0,0 | 130,0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | | |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 79,5 | 90,5 |
| 7103 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 5,0 | 5,0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 221,6 | 193,0 |
| 7105 | უმუშევართა სოციალური დაცვა | | |
| 7106 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | | |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები,რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | | |
| 7108 | გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში | | |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| | *სულ* | *7 590,0* | *9 781,7* |

*საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ბუკია*

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N23

2012 წლის 1 აგვისტო ქ. ხობი

**„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N31 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 110307109, 21.03.2011 წ. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.106.016024) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებით, წინამდებარე დებულებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“ და „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი ზომების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დადგენილების გამოცემა;“

გ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ[1]“ ქვეპუნქტი:

“ვ[1]) უზრუნველყოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისას საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ X თავით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელება მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში;“

დ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ[1]“ ქვეპუნქტი:

„გ[1]) განახორციელოს ზედამხედველობა და კონტროლი წინასაარჩევნო აგიტაციის, წინასაარჩევნო მოწოდებებისა და მასალების (მოწოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო, სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებები) გავრცელებაზე, პოლიტიკური, წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებაზე, სხვა წინასაარჩევნო საქმიანობებთან დაკავშირებით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე; უზრუნველყოს „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი სამართალდარღვევის ფაქტზე საჭირო სანქციების გამოყენება“;

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

*საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ბუკია*

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება 31 ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების ღონისძიებების შესახებ

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №31

*2012 წლის 25 მაისი ქ. ხობი*

***ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების ღონისძიებების შესახებ***

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების გარე იერსახის დამახინჯებისა და საარჩევნო ატრიბუტიკის (პლაკატები, ლოზუნგები და სხვა) შეუფერებელ ადგილებში განთავსების აღკვეთის მიზნით:

1. ქ. ხობის ტერიტორიაზე არსებულ უბნებში საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატებისთვის განთავსდეს სტენდები შემდეგ ადგილებზე:

ა) პირველი უბნის ტერიტორიაზე - ცოტნე დადიანის ქუჩაზე მიკროავტობუსების გაჩერებაზე და დავით აღმაშენებლის ქუჩაზე კოსტავას ქუჩის გადაკვეთასთან;

ბ) მეორე უბნის ტერიტორიაზე–ცოტნე დადიანის ქუჩაზე რესტორან „ღიმილთან“ და ცოტნე დადიანის ქუჩაზე გოგებაშვილის ქუჩის შესასვლელთან;

გ) მესამე უბნის ტერიტორიაზე–ჭყონდიდელის ქუჩის დასაწყისში 9 აპრილის ხეივანთან და ჭყონდიდელისა და ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთაზე;

დ) ოცდამერვე უბნის ტერიტორიაზე–ცოტნე დადიანის ქუჩაზე კოლხეთის დასახლების შესახვევთან და სტალინის ქუჩაზე რუსთაველის გადაკვეთასთან.

2. მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში არსებულ უბნებში საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განსათავსებლად გამოყენებულ იქნეს იქ არსებული ნებისმიერი შენობა-ნაგებობა, გარდა კანონმდებლობით აკრძალულისა.

3. აიკრძალოს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განთავსება საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოს და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

4. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას (გ. ღურწკაია) საარჩევნო პლაკატების გამოსაფენად სტენდების დამზადების უზრუნველყოფა.

5. დაევალოს საკრებულოს აპარატს (ლ. შამათავა) საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების უზრუნველყოფა არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

6. ეთხოვოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხობის რაიონულ სამმართველოს (ლ. რაფავა) წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას განკარგულებით გათვალისწინებული წესების დარღვევის ფაქტების აღკვეთა.

7. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხობის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. 192)

*საკრებულოს თავმჯდომარე*
*მ. ჯოხონელიძე*

# ა უ ქ ც ი ო ნ ი

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ ქონების პრივატიზებაზე

| № | ქონების დასახელება | ადგილმდებარეობა | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) | ბე"-ს ოდენობა | ბიჯი 10% | მონაწილის ბილეთის ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მ/ტელეფონი „სამსუნგი“ | ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 30 ლარი | 3 ლარი | 3 ლარი | 20 ლარი |
| 2 | მ/ტელეფონი „ნოკია“ | ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 60 ლარი | 6 ლარი | 6 ლარი | 20 ლარი |
| 3 | წისქვილი | ქარიატა | 480 ლარი | 48 ლარი | 48 ლარი | 20 ლარი |
| 4 | წისქვილი | ქ. ხობი ბარათაშვილის ქუჩა | 160 ლარი | 16 ლარი | 16 ლარი | 20 ლარი |
| 5 | დახურული რკინა-ბეტონის ავზი | ნოჯიხევის პროფტექნიკური სასწავლებელი | 25 | 2.50 ლარი | 2.50 ლარი | 20 ლარი |
| 6 | მეორადი ჯართი - 350კგ | ალუმინის ჯართი-50კგ. | სახანძრო--სამაშველო სამსახური | 178 | 17.80ლარი | 17.80 ლარი |
| 7 | რკინის გამათბობელი -2ტონა. | ნოჯიხევის პროფტექნიკური სასწავლებელი. | 500 | 50 ლარი | 50 ლარი | 20 ლარი |
| 8 | 18 დასახელების ტექნიკა 22360 კგ. | ნოჯიხევის პროფტექნიკური სასწავლებელი. | 5590 | 559 ლარი | 559 ლარი | 20 ლარი |

## ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე

| № | შენობის დასახელება | მისამართი | სართული | ოთახების რაოდენობა | გასაიჯარებელი ოთახების ფართები | 1 კვ.მფართის ღირებულება | ქონების გასხვისების ვადა (წელი) | იჯარის ქირის განაკვეთი (%) | საიჯარო ქირა,1კვ.მ (წლიური) | „ბე“ | ბიჯი | ბილეთის ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საყოფაცხოვრებო სახლი | ჭალადიდი | I | 7 | 139.48 | (ლარი) | 3 | 40 | 32.80 | 10% | 10% | 20 |
| 2 | საყოფაცხოვრებო სახლი | ჭალადიდი | II | 6 | 115.69 | 82 | 3 | 40 | 32.80 | 3.28 | 3.28 | 20 |
| | | | | | | 82 | | | | 3.28 | 3.28 | |

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე ( შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2012 წლის 26 სექტემბერი, 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–20122900, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–220101222, სახაზინო კოდი–300403313.

აუქციონის ფორმით შენობის პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, მყიდველმა საკუთარი ხარჯებით უნდა მოახდინოს შენობის დაშლა, ტერიტორიის გაწმენდა ნარჩენებისაგან, ასევე საკუთარი ხარჯებით დაამზადოს მეორადი ლითონი წინაალმდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ) „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნონარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში.

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

---

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობს ხობის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს ქალბატონ ხათუნა გერგაიას დედამთილის, დამსახურებული მეაბრეშუმე-აგრონომის, ღვაწლმოსილი ქალბატონის

**ვარდო წურწუმია–კეკელიას**

გარდაცვალების გამო.

---

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს ქალბატონ ჯულიეტა ქვარაიას და ქ. ხობის №2 საჯარო სკოლის დირექტორს ნანა ქვარაიას დედის

**ფაცია ღურწკაია-ქვარაიას**

გარდაცვალების გამო.

---

შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქალბატონ ნათელა ალანიას ძმის

**რონალდო ალანიას**

გარდაცვალების გამო.

---

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობს ქალბატონ ნათელა ალანიას ძმის

**რონალდო ალანიას**

გარდაცვალების გამო.

---

ხობის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა შრომის ვეტერანი

**რონალდო ალანია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულიოს ოჯახს.

---

შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქალბატონებს ჯულიეტა და ნანა ქვარაიებს დედის

**ფაცია ღურწკაია-ქვარაიას**

გარდაცვალების გამო.

---

ხობის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა ჭალადიდის ვეტერანთა კავშირის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე

**ნოკოშა გვარამია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები იუწყებიან ჩვენი გაზეთის ყოფილი მეგობრისა და აქტიური თანამშრომლის, პატივდებული ქალბატონის.

**ვარდო წურწუმია–კეკელიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ჭირისუფლებს.

---

## სულთათანა

## მერაბ შულაია



ოთხი თვეა შენთან საუბარი მინდა, ისე, როგორც ოთხი თვის წინ, მინდა ვისაუბროთ ყველაფერზე– ოჯახზე, შვილებზე, სამსახურზე, ამხანაგებზე, მეგობრებზე, მაგრამ ამას ვერ ვახერხებ, რადგან ძალზე მტკივნეული და შეუძლებელია შენთან საუბარი. დაწერა ვცადე და მოგონებაში მხოლოდ ტრაფარეტულად ქცეული სიტყვები, რომ შენ ჩვენთან აღარ ხარ, რომ შენ ჩვენთვის მოუშუშებელი ჭრილობა ხარ, რომ ძალიან გვენატრები–ამოტივტივდა. ეს სიტყვები იმდენად გაცვეთილი მეჩვენა, არ მინდოდა ამით დამეწყო და მეც იგივე მეთქვა, რასაც უამრავი ჩემებრ დამწუხრებული ადამიანი განიცდის.

დავრწმუნდი იმაშიც, რომ არ არსებობს სიტყვები, რომელიც ადამიანის ღრმა მწუხარებას სრულად გამოხატავს, მის ემოციებს და შეგრძნებებს ბოლომდე ასახავს. ამიტომ გადავწყვიტე ჩვეულებრივად მოგმართო, ისე როგორც ადრე–ძალიან მომენატრე! ყოველი დღის ბოლოს მინდა დაგირეკო და გკითხო როგორა ხარ, მძიმე სამუშაომ ხომ არ დაგღალა, ნასვამი ხომ არა ხარ, სახლში თუ ხარ. მინდა შეგეხმიანო და გაგამხნევო, რომ შენები კარგად არიან, რომ დედას წნევები აღარ აწუხებს, რომ მეუღლე შენს მოსვლას ელოდება, რომ ბიჭები ჭკვიანად არიან, ძმის ამბავს კი თავად გაიგებ, რადგან მასთან ახლოს ხარ და თავად მიაკითხავ.

მინდა გითხრა, რომ ისე, როგორც შარშან, შენს სიცოცხლეში, ახლაც შენს სახლში შევიკრიბეთ შენიანები. სუფრაც ისე უხვია, სასმელიც იმდენია, სიყვარულიც და მოფერებაც ისეთივეა, როგორც შენს დროს, მაგრამ არ არის ის სრული ბედნიერება, ის უშუალო დამოკიდებულება, როგორიც შენ შეგეძლო და როგორიც შენს დროს იყო, რადგან ყველანი ერთმანეთს თვალს ვარიდებთ, რათა ერთმანეთის თვალებში ცრემლი და დარდი არ დავინახოთ.

გვიჭირს, ძალიან გვიჭირს უშენობა, გვაკლია შენებური სიყვარული, იუმორი, სტუმრის მიღების ტრადიცია. შენს სახლში ისე ვიქცევით, როგორც შენ გიყვარდა, ისმევა ის სადღეგრძელოები, რომელსაც შენ განსაკუთრებულად წარმოთქვამდი. პირველად კი „ადრე წასულების“ სასმისს აიღებდი, ვითომ ბედისწერა იყო? ჩვენც დღეს ასე ვიწყებთ შენს ოჯახში თავშეყრას.

ჩემო მერაბ, ჩემო უმცროსო ძმაო, 56 წელი ძალიან ცოტაა და-ძმობის სიყვარულის აღსაქმელად. ჩვენ სიცოცხლეში ვერ ვგრძნობთ რა ძვირფასები ვართ ერთმანეთისთვის, მხოლოდ სიკვდილის შემდეგ შევიგრძნობთ ერთმანეთის ფასს. ვცდილობთ ვიყოთ შენნაირი კეთილი, სტუმართმოყვარე, მართალი, ალალი, მაგრამ ეს ყველაფერი შენნაირად არ გამოგვდის.

შენ იმხელა სითბო და სიყვარული დაგვიტოვე, მთელი ცხოვრება ეს დანატოვარი შენი სახით იცოცხლებს ჩვენში.

დაბადების დღეს გილოცავ და გთხოვ, ხშირად ეჩვენე შენს მოხუც დედას, მეუღლეს, შენიანებს, იქნებ ამით გაანელო ის ტკივილი, რომელსაც განვიცდით.

***მანანა შულაია***

---

## ნუგზარ (ნესტორა) ცინაძე



ძმაო ნუგზარ, შენი გარდაცვალებიდან გაუსაძლისი ტკივილითა და ცრემლიანი მოგონებებით სავსე 40 დღე გავიდა.

იმ ავადმოსაგონარ 2012 წლის 16 ივლისს, გლოვის ზარმა ჩამოკრა ოჩამჩირის რაიონიდან დევნილი ცინაძეების ოჯახში. ნუგზარ, შენ იყავი ხალისითა და სიკეთით სავსე, 45 წლის ვაჟკაცი, რომელიც განუკურნებელმა სენმა დაამარცხა და მარადიულ სასუფეველში დაგიმკვიდრა ადგილი. წახვედი და შენს მეუღლეს მაია ბუკიას, შვილს–ზურაბის, დედმამის შვილებს, ნათესავებს და მეგობრებს დაგვიტოვე დიდი ტკივილი და სევდა. მოხუც მშობლებს თავს დაატყდა მოულოდნელი უბედურება. ჩვენი ძმა ემზარი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა მოურჩენელი სენი დაემარცხებინა, თუმცა ბედთან ჭიდილი უშედეგო აღმოჩნდა.

ჩვენო ძმაო, აფხაზეთის ომმა ვერ დაგვაშორა ერთმანეთს. ომს გამოქცეულებმა თავშესაფარი სამეგრელოში ვპოვეთ. ცეცხლის ალში გახვეული სოხუმი 1993 წლის 27 სექტემბერს იმ იმედით დავტოვეთ, რომ შენთან ერთად მალე მშობლიურ კერას დავუბრუნდებოდით.

სამწუხაროდ, ბედისწერამ შენ ეს არ გარგუნა და სამშობლოსგან შორს, უკრაინაში (სარნი) დალიე სული. ახლა კი, დროებითი სამკვიდრებელი სოფელ პირველ მაისში ჰპოვე. დროებით, რადგან გვჯერა, შენი ნაწამები სხეული კვლავ დაუბრუნდება იმ მიწას, რომლის დაბრუნებაზეც ოცნებობდი და ფიქრობდი, ნათქვამია, დრო მკურნალიაო, მაგრამ ჩვენს ტკივილს განკურნება არ უწერია.

ძმა, ემზარი, რძალი ხათუნა, დები–ნაზი, ქეთო, ხათუნა მარად ვილოცებთ შენი ლამაზი სულის უკვდავსაყოფად.

***შენი უმცროსი და***
**ხათუნა ცინაძე.**

---

## გოგა ლაზარია



გაუსაძლისი ტკივილით და ცრემლიანი მოგონებებით გავიდა ათი წელი. ზუსტად ათი წლის წინ, იმ ავადმოსაგონარ 20 სექტემბერს გლოვის ზარმა ჩამოჰკრა ჩვენს გულებში. გოგა, სიცოცხლითა და ხალისით სავსე ვაჟკაცი თვალწინ დაგვისხლტდი და მარადისობაში დაივანე. წახვედი და შენთან ერთად გაქრა ყველაფერი, ჩვენი ხალისი, ბედნიერება, ღიმილი, უეცრად გაქრა შენი ომახიანი ხმა. გვაკლია შენი სითბო და სიყვარული, სიკეთით სავსე ღიმილი. შენმა სიკვდილმა ცხოვრება დაგვინგრია, მიწასთან გაგვასწორა, მოუშუშებელი ჭრილობა გვარგუნა.

ჩვენო გოგა, ძნელია იმ გაყინულ საფლავის ქვასთან გვეგულებოდე. ნათქვამია, დრო მკურნალიაო, მაგრამ ჩვენს ტკივილს განკურნება არ უწერია, შენი ოჯახი ვერასოდეს მოიშუშებს იმ ტრაგედიას.

შენს ნაცვლად დაგვრჩა ლამაზი სურათები, შენი საფლავი. შორიდან გეფერებით და გეალერსებით იქ მარადისობაში, რომლის ბინადრადაც გვეგულები.

მარად ვილოცებთ შენი ლამაზი სულის უკვდავსაყოფად.

გვიყვარხართ და უზომოდ გვენატრები.

**შენი ოჯახი.**

---

ქვემო ქვალონის №2 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექპერსონალი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

**ნაზი კინწურაშვილი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

# მანუჩარ ცხადაია–2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი

მანუჩარ ცხადაიამ ხობის პატარა სპორტულ დარბაზში მამუკა ყორშიასთან, ბაკურ ბუკიასთან და ჟიული პაჭკორიასთან ვარჯიში 10 წლისამ დაიწყო. მანამდე ფეხბურთზე დადიოდა და ჭიდაობაზე სწორედ ფეხბურთის მწვრთნელმა ფრიდონ გოცირიძემ შეიყვანა. ბავშვებმა რამდენჯერმე იჭიდავეს, ეტყობა კარგად გამოსდიოდა, რაც უყურადღებოდ არ დარჩენია მწვრთნელს და მამუკა ყორშიასთან მიიყვანა... დაარწმუნეს, რომ მისგან უკეთესი მოჭიდავე გამოვიდოდა, ვიდრე ფეხბურთელი.



მასშემდეგ მანუჩარი მართლაც ყოველდღე ამტკიცებს, რომ მას ჭიდაობაში ბევრის მიღწევა შეუძლია. ის ქართველი მოჭიდავეებისგან ერთი კარგი თვისებითაც გამოირჩევა–საოცარი საბრძოლო ჟინი და შემართება მის ჭიდაობას გაცილებით სანახაობრივს ხდის და ხშირად თეატრალური მაყურებლის სიმპატიასაც იმსახურებს.



ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე მანუჩარ ცხადაია საუკეთესო სპორტსმენად პირველად 2009 წელს დასახელდა. სპორტის სამინისტროსა და სახელმწიფო დეპარტამენტის აღიარებიდან ორიოდ დღეში იგი ქართველ ჟურნალისტთა რჩეულიც გახდა.

მანუჩარი მსოფლიოს 2009-2011 წწ ორგზის ვერცხლის მედალოსანია, 2012 წლის ევროპის ვიცე-ჩემპიონი და 2009 წელს მესამე პრიზიორი.

ის დღე, როდესაც მანუჩარ ცხადაია 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე ასპარეზობდა, ყველაზე დაძაბული და ემოციური დღე იყო. დარწმუნებული ვარ, უამრავი ადამიანი იქნებოდა მიყურადებული ამ მეტადსაპასუხისმგებლო ასპარეზობას. პირადად მე, ემოციის გარეშე ვერ ვუყურე თითოეულ მის ჭიდაობას, თან სიამაყის გრძნობა მეუფლებოდა, რადგან ქართველი და მით უფრო ხობელი საქართველოს სახელის შორს გატანას ცდილობდა.

ამ დღეებში ხობის მუნიციპალიტეტმა ჩვენი ქალაქის ღირსეულ შვილს შეხვედრა მოუწყო, რომელსაც კულტურის სახლი მასპინძლობდა. ღონისძიების წამყვანმა ბატონმა ბეჟან ნადარაიამ ვრცლად ისაუბრა მანუჩარის მიღწევებსა და მის პირველ ნაბიჯებზე.

სპორტსმენს მუნიციპალიტეტის სახელით მიესალმნენ და გამარჯვება მიულოცეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოგა ღურწკაიამ. შეხვედრაზე მანუჩარ ცხადაიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ხობის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

–„ძალიან დიდი ბედნიერებაა, რომ ხობში გაიზარდა ასეთი კარგი ღირებულებების მატარებელი ადამიანი. იგი თავისი ადამიანობითაც გამორჩეული პიროვნებაა. მასში ძალასთან ერთად დახვეწილი ქართული სულია თავმოყრილი. მინდა მადლობა ვუთხრა მის ოჯახს ასეთი ახალგაზრდის აღზრდისთვის. მადლობა მის მწვრთნელებს და თითოეულ ხობელს, რომლებიც იმედის თვალით უმზერდნენ ლონდონის ოლიმპიადას და გულშემატკივრობასთან ერთად ლოცვას აწევდნენ მას. წარმატებას გისურვებ მანუჩარ!“–განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგა ღურწკაიამ მადლობა გადაუხადა მანუჩარს და მის მშობლებს ასეთი ვაჟკაცის აღზრდისთვის.

–„მანუჩარს ჭიდაობის განსაკუთრებული ნიჭი აქვს. ძალიან დიდი სიამოვნებაა, როცა მის ჭიდაობას უყურებ. ეს მთელმა მსოფლიომ და ფედერაციამაც აღიარა.

შენი წარმატება ჩვენი წარმატებაცაა. მე ვიცი, შენ რა პირობებშიც გიწევდა ვარჯიში. ძალიან გვინდოდა მედალი ოქროსი ყოფილიყო, მაგრამ ბრინჯაოც არაა ცოტა. დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრ წარმატებას მიაღწევ. მინდა გითხრა, რომ ოლიმპიადის დროს შენს სახელზე სამი მონასტერი ლოცულობდა...

წარმატებებს გისურვებ!“

ტიტულოვანმა სპორტსმენმა ხობელებს მადლობა გადაუხადა თანადგომისთვის და დასძინა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქეობა მისთვის დიდი პატივია.

შეხვედრა კეთილი სურვილებით დასრულდა...

შეხვედრის დასასრულს მოვახერხე მანუჩარს გავსაუბრებოდი.

გთავაზობთ მასთან ინტერვიუს:

**მანუჩარ, რას გვეტყვით თქვენი ცხოვრების განვლილ გზაზე?**

–წარსულს რომ გადავხედავ, აწმყო სიზმარი მგონია, თუმცა ყველაფერი მაინც ისე არ ხდება, როგორც გვინდა.

დავიბადე მოსამსახურეების ერთ ჩვეულებრივ ოჯახში. დავდიოდი ფეხბურთზე ფრიდონ გოცირიძესთან, რამოდენიმე ხნის შემდეგ მირჩია სპორტი არა ფეხბურთის კუთხით, არამედ ჭიდაობით გამეგრძელებინა, მე ამ ყველაფერზე უკმაყოფილება გამოვთქვი და ვარჯიში გავაგრძელე. ფეხბურთი ჩემი ჰობია, დღესაც ძალიან მიყვარს. ბატონი ფრიდონი ჩემთან რომ ვერაფერს გახდა, მამუკა ყორშიასთან და ჟიული პაჭკორიასთან ერთად ჩემს მშობლებს დაელაპარაკა... გადაწყდა, რომ მე ჭიდაობაზე ვივლიდი, მეც უფროსების რჩევას დავემორჩილე.

ხობში ექვსი წელი ვივარჯიშე. ამ პერიოდში მონაწილეობა მივიღე საქართველოს, რეგიონალურსა და საერთაშორისო ტურნირებში.

ექვსი წლის შემდეგ დადგა დრო, რომ ინტენსიურად ნაკრებთან ერთად მევარჯიშა, რათა გაზრდილიყო ჩემი შესაძლებლობები. 2001 წლის ოქტომბერში თბილისში, ბატონ ვაჟა კრავეიშვილთან გადავედი, რომელიც დღემდე ჩემი პირადი მწვრთნელია.

**საიდან სპორტისადმი ასეთი ინტერესი?**

–ბავშვობიდან მიზანსწრაფული ვიყავი. მიყვარდა გამარჯვებები და მქონდა სურვილი ვყოფილიყავი ყოველთვის პირველი... ალბათ, ამ ყველაფერმა განაპირობა ასეთი ინტერესი.

**როცა სპორტში წარმატებისკენ პირველ ნაბიჯებს დგამდით, მწვრთნელები რას გიწინასწარმეტყველებდენ?**

– როგორც გითხარით, ჩემი პირველი მწვრთნელი მამუკა ყორშია იყო. ის დიდ იმედებს ამყარებდა ჩემზე და ვფიქრობ, ნაწილობრივ მისი იმედები გავამართლე. ამ ყველაფერში რა თქმა უნდა ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ ვაჟა კრავეიშვილს, არა მხოლოდ მას, არამედ მთელ მის ოჯახს. მადლობა მინდა გადავუხადო უდიდეს პიროვნებას, ბატონ ვაჟას მეუღლეს ქალბატონ ნელის, მან შვილივით მიმიღო და ამ ხნის მანძილზე ჩემზე ზრუნავდა. რომ არა მათი ოჯახი, სპორტიდან დიდი ხნის წამოსული ვიქნებოდი, რადგან მოგეხსენებათ, ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული...

**როდის იყო პირველი გამარჯვება... შემდეგ?**

–პირველი გამარჯვება 1997 წლის ივნისის თვეში იყო, გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც პირველი ადგილი დავიკავე. მას შემდეგ ძალიან ბევრი იყო...

**იყო იმედგაცრუება?**

–უამრავი. სპორტს წარმატებასთან ერთად იმედგაცრუებაც მოსდევს. მაგრამ ღვთის წყალობით საბოლოოდ მაინც კარგი შედეგი გამოიღო.

**რა როლი მიუძღვით თქვენს მშობლებს ამ წარმატებაში?**

–მინდა გითხრათ, რომ უდიდესი, ამის გადმოცემა შეუძლებელია, უბრალოდ ვიტყვი იმას, რომ მათ რაც გამიკეთეს შეუძლებლად მიმაჩნია. დიდი მადლობა მათ ამ ყველაფრისთვის, ჩემი მშობლები ჩემი იდეალები არიან.

**რას გვეტყვით წლევანდელ ოლიმპიადაზე, რას მოელოდით?**

–მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ძალიან განსხვავდებოდა ყველა შეჯიბრისგან თავისი ფსიქოლოგიური თუ მორალური დატვირთვით, რადგან აქ შეიკრიბა ყველა კონტინენტის საუკეთესო სპორტსმენები. პირველ რიგში მოველოდი იმას, რომ ვიჭიდავებდით კარგად და ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოვავლენდით, რადგან ვგრძნობდით, რომ თითოეულ ჩვენს გამარჯვებას დიდი სიხარულის მოტანა შეეძლო ქართველი ერისთვის. ორმაგად დიდი სიხარული იქნებოდა თუ ეს გამარჯვება კვარცხლბეკამდე მიგვიყვანდა. ჩვენ ჩემპიონობას მოველოდით. თითოეული სპორტსმენი, ვინც კი წარსდგება ოლიმპიადაზე მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს, შესაბამისად, მეც ამ აზრით და განწყობით გავემგზავრე ოლიმპიურ თამაშებზე.

**კმაყოფილი ხართ წარმატებით?**

–მგონი კი. თუმცა, მეტი ვერ შევძელით. ვაღიარებ, იყო დიდი შანსი ჩემპიონი გავმხდარვიყავი, მაგრამ როგორც თავში ავღნიშნე, ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გვინდა. ვწუხვარ, რომ ქართველ ხალხს იმედები ვერ გავუმართლე და ის დიდი ბედნიერება ვერ მივანიჭე საქართველოს ჰიმნი აჟღერებულიყო.

**ეს თქვენთვის რიგით მერამდენე გამარჯვებაა?**

–ვერ გეტყვით, უბრალოდ ამას ვერ დავთვლი.

**კიდევ რა ჯილდოებს ფლობთ?**

– ვარ 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი (მესამე ადგილი) 66 კგ, 2009 წლის მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი (მეორე ადგილი) 66 კგ, 2011 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვიცე ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მფლობელი 66 კგ, 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ვიცე ჩემპიონი 74 კგ, 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი 66 კგ.

**თქვენი სამომავლო გეგმები...**

– ჩვეულებრივად გავაგრძელებთ მზადებას თითოეული შეჯიბრისთვის, ეს იქნება ევროპის ჩემპიონატი, მსოფლიოს თუ თუნდაც სხვა მრავალი საერთაშორისო ტურნირისა, რათა მზად შევხვდეთ 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებს, რა თქმა უნდა თუ ამის შესაძლებლობა მოგვეცემა.

დიდი მადლობა მანუჩარ, რომ დრო გამონახე და ინტერვიუზე დამთანხმდი. შენ, ჩვენი ხობი და არა მარტო ხობი, საქართველო ასახელე. მჯერა, დიდ წარმატებას მიაღწევ და კიდევ მრავალგზის გაგვახარებ!

**ნანა კემულარია.**

# გოგი ბუკიას მემორიალური ღია საერთაშორისო ტურნირი ნარდში



2007 წელს, „განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ–„ხობის“ და პირადად მისი პრეზიდენტის, გოდერძი ბუკიას ინიციატივით, დაფუძნდა მოულოდნელად გარდაცვლილი ჟურნალისტის, შესანიშნავი მოქალაქისა და ნარდის დიდი ქომაგის, გოგი ბუკიას მემორიალური ღია საერთაშორისო ტურნირი ნარდში.

პირველი ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“ და საქართველოს ნარდის ასოციაცია.



2008 წლიდან, გოგი ბუკიას მემორიალური ტურნირი შეტანილია საერთაშორისო გათამაშებათა ცხრილში და 2008-2011 წლებში მას ორგანიზებას უწევდა ნარდის მსოფლიო ასოციაცია (პრეზიდენტი–ჩივა ტაფაზოლი–გერმანია).

2012 წელს კი გოგი ბუკიას მემორიალს ატარებს ნარდის მსოფლიო ფედერაცია (პრეზიდენტი–მარკო ფარნასირი).



ტურნირის ფარგლებში ქართველ და უცხოელ მონარდეთა გუნდებს შორის იმართება ტრადიციული მატჩი–„საქართველო და მსოფლიო“, რომელის ანგარიშიც ჯერჯერობით 4 : 1 ქართველ სპორტსმენთა სასარგებლოდ.

გოგი ბუკიას მემორიალში სისტემატურად მონაწილეობენ გერმანიის, პორტუგალიის, იტალიის, თურქეთის, ნორვეგიის, საბერძნეთის, ისრაელის, ავსტრიის, სომხეთის, რუსეთის, ირანის, უკრაინის და სხვა ქვეყნების საუკეთესო მონარდეები.

გასულ წელს მემორიალის ფარგლებში პირველად ჩატარდა ტურნირი ქართულ ნარდში, რომელიც ტრადიციული გახდება.

მიმდინარე წლის სიახლეა ასევე ქალთა ტურნირიც.

წლევანდელი ტურნირი გამორჩეულია იმითაც, რომ საერთაშორისო ჩემპიონატამდე, რამდენიმე დღით ადრე, ჩატარდა მინი ტურნირი ჟურნალისტებს შორის, რომლის გამარჯვებული და პრიზიორები, სხვა პრიზებთან ერთად, დაჯილდოვდნ– ენ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლებით.

ტურნირის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე უზრუნველყოფასთან ერთად, მასპინძელთა მხრიდან ყველაფერი კეთდება, რათა მონაწილეები მაქსიმალურად გაეცნონ ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და კულტურას. სტუმრები ათვალიერებენ ქვეყნის ღირშესანიშნაობებს.

ამ წლების მანძილზე გოგი ბუკიას მემორიალმა ბევრი მეგობარი შესძინა ჩვენს ქვეყანას.

წლების მანძილზე გოგი ბუკიას ტურნირები იმართებოდა სასტუმროებში „საქართველო“, „ქორთიარდ მარიოტი“, „რედისონი“, კაზინო „აჭარა“. წლევანდელ ტურნირს კი, უკვე მეორედ, აჭარა–კერძოდ, ჩაქვის განახლებული სასტუმრო „ოაზისი“ მასპინძლობდა.

მონაწილეებმა ხუთი საინტერესო და აზარტული დღე გაატარეს სასტუმრო „ოაზისში“.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“
სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.
რეკლამისა და მარკეტინგის მენეჯერი ლაშა ცატავა.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.